პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 305 (9773) | კვირა, 27 დეკემბერი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).

საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად იწონებს სასამართლოს განაჩენს. ურღვევია ხალხთა მეგობრობა. სამართლიანი განაჩენი. დედა—სამშობლო უძლეველია. მოღალატენი გასრესილი არიან. თბილისელ ფეიქართა სიტყვა. ვერაგი მტერი განადგურებულია (მე-2 გვერდი).

საგაზეთო თემაზე. — შემოქმედებითად მოვაწყოთ რაიონული გაზეთების მუშაობა (მე-2 გვერდი).

საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის მოწვევის შესახებ ბერლინში (მე-2 გვერდი).

ავლაბრის ყოფილი არალეგალური ტიპოგრაფიის 50 წლისთავი. ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის „ამაღელვი". ბოლშევიკური არალეგალური ტიპოგრაფია ... როგორ იყო მოწყობილი არალეგალური ტიპოგრ. (მე-3 გვერდი).

ა. ალექსანდროვი — საერთაშორისო მიმოხილვა (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

საბჭოთა კავშირის ახალი წინადადება

საბჭოთა მთავრობის განცხადებამ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ეიზენჰაუერის გამოსვლის გამო ყველგან გამოიწვია სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა, აგრეთვე პრესის ფართო გამოხმაურება და მრავალი კომენტარი.

თავის განცხადებაში საბჭოთა მთავრობამ, რომელიც განუხრელად ახორციელებს თავის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, განაცხადა, რომ თანახმაა მონაწილეობა მიიღოს კონფიდენციალურ ან დიპლომატიურ მოლაპარაკებაში ატომის ენერგიის გამოყენების თაობაზე, რის შესახებაც წინადადებას აყენებს ეიზენჰაუერი. საბჭოთა კავშირი მუდამ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სახელმწიფოთა შორის უშუალო მოლაპარაკებას, რათა მიღწეულ იქნას ურთიერთმისაღები შეთანხმებანი სადავო საკითხებზე საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

თავის მხრივ საბჭოთა მთავრობამ წამოაყენა ახალი დიდმნიშვნელოვანი წინადადება, რომლის მიზანია ატომური ომის საფრთხის თავიდან აცილება და საერთაშორისო ვითარების დაძაბულობის შენელება.

„საბჭოთა მთავრობა, — ნათქვამია განცხადებაში, — ითვალისწინებს, რომ ამ მოლაპარაკების მსვლელობაში ამავე დროს განხილულ იქნება საბჭოთა კავშირის შემდეგი წინადადება:

შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოები, ხელმძღვანელობენ რა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისადმი მისწრაფებით, საზეიმოდ კისრულობენ უშენიშვნოდ ვალდებულებას — არ გამოიყენონ ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა იარაღი".

საბჭოთა კავშირის ამ წინადადებას, რომელიც ატომური იარაღის საკითხის მოწესრიგებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების დიდ შესაძლებლობებს ქმნის, ხიმპათიით შეხვდა ბევრი ქვეყნის ფართო საზოგადოებრიობა. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მთელ რიგ ქვეყნებში, და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებულ შტატებში. შეეცადნენ დაემალათ, მიეჩქმალათ საბჭოთა მთავრობის წინადადება ან დაემახინჯებინათ იგი.

ამასთან დაკავშირებით უყურადღებას იქცევს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის დალესის 21 დეკემბრის გამოსვლა. განიხილავდა რა საბჭოთა მთავრობის განცხადებას, დალესმა ფაქტების აშკარად საწინააღმდეგოდ აღნიშნა, რომ ამ განცხადებაში თითქოს მხოლოდ „ჩამოყალიბებულია საბჭოთა კავშირის წინანდელი პოზიციები". მეორე დღეს ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა თავის მხრივ თქვა, თითქოს საბჭოთა მთავრობის განცხადება მხოლოდ „განმეორებითი ჩამოყალიბებაა საბჭოთა თვალსაზრისისა ატომის ენერგიის საკითხებზე" იმ დამატებით, რომ საბჭოთა კავშირი თანახმაა განიხილოს ეიზენჰაუერის წინადადება".

იცავენ რა ამ გეზს, საბჭოთა წინადადებას ასევე არასწორად განმარტავენ აგრეთვე ზოგიერთი სხვა ოფიციალური პირნი, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ბევრი ბურჟუაზიული გაზეთი.

ცდები, რომ მიჩქმალონ ან დაამახინჯონ ახალი საბჭოთა წინადადების არსი, როგორც ჩანს, შემთხვევითი როდია. ეს ცდები აშკარად ნაკარნახევია მისწრაფებით — არ აღნობონ ფართო საზოგადოებრივ წრეებს ეს წინადადება, რომელიც საშუალებას იძლევა ახლებურად და ამასთან მეტად ნაყოფიერად მოეწყოს ატომური იარაღის საკითხის განხილვა.

როგორია საბჭოთა კავშირის „წინანდელი პოზიციები", რომლებზეც დალესი ლაპარაკობს? სსრ კავშირს მუდამ მიაჩნდა და მიაჩნია, რომ უმნიშვნელოვანესი და ამასთან გადაუდებელი ამოცანაა ატომური და წყალბადის იარაღის, ისევე როგორც მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის, უთუოდ აკრძალვა. საბჭოთა მთავრობას ბევრჯერ და ნათლად აღუნიშნავს ხაზგასმით, რომ ესწრაფვის დაწესდეს მტკიცე და ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლი ამ აკრძალვისადმი. საბჭოთა მთავრობამ კვლავ გამოთქვა თავის განცხადებაში, რომ მზად არის კვლავაც ყოველი ღონე იხმაროს ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა იარაღის ასაკრძალვად. საბჭოთა მთავრობამ ასევე მკაფიოდ და ნათლად გაიმეორა თავისი ის განზრახვაც, რომ მიაღწიოს მტკიცე საერთაშორისო კონტროლს ამ აკრძალვისადმი.

სრულიადაც არ არის საბჭოთა კავშირის ბრალი, რომ დღემდე მიღწეული არ არის შეთანხმება ამ ფართო, ყველა ხალხისათვის სასიცოცხლო მნიშვნელოვან მოქმედების პროგრამაზე. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას არ გამოუჩენია გულწრფელი სურვილი განხილულ იქნას და გადაწყდეს ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა იარაღის აკრძალვის საკითხი. ამ ძირითადი და გადამწყვეტი საკითხის საქმიანი განხილვის ნაცვლად ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიაში ცდილობდნენ თავს მოეხვიათ მისთვის ჩვეულებრივი ტიპის სხვადასხვა სახეობის შეიარაღების „აღრიცხვისა" თუ „აღწერის" თავიანთი გეგმები. ამ გეგმებს საერთო არა ჰქონიათ რა არც ატომური იარაღის აკრძალვასთან, არც ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირებასთან.

ამჟამად სსრ კავშირი, რომელიც სრულიადაც არ ამბობს უარს თავის ფართო პროგრამაზე და ადასტურებს მის აქტუალობას, აყენებს ახალ წინადადებას, რომელიც ნაკარნახევია მისწრაფებით — გამოინახოს გამოსავალი იმ ჩიხიდან, რომელშიც ამერიკის დიპლომატიამ ატომური იარაღის საკითხი მოაქცია. ითვალისწინებს რა არსებულ სიძნელეებს და სურს რა უფრო მალე გადაიჭრას ეს საკითხი, საბჭოთა მთავრობა მოითხოვს ისეთ ღონისძიებას, რომელიც შეიძლება გადაუდებლად განხორციელდეს, თუ დაინტერესებული მხარეები კეთილ ნებას გამოიჩენენ.

ყველამ იცის, თუ რა დიდი როლი შეასრულა უნივერსალ 1925 წლის ოქმმა ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების აკრძალვის შესახებ, რომელსაც ხელი მოაწერა 49 ქვეყანამ, მათ შორის სსრ კავშირმაც. „ის ფაქტი, რომ მეორე მსოფლიო ომში ვერც ერთმა მთავრობამ ვერ გაბედა ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენება, ცხადყოფს, რომ სახელმწიფოთა ხსენებულ შეთანხმებას, რომელიც მიმართულია ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის წინააღმდეგ, დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. ამასთან, ცხადია, არ შეიძლება ჯეროვნად არ შევაფასოთ ის გარემოებაც, რომ ამ საერთაშორისო შეთანხმებაზე დაყრდნობით ანტიჰიტლერული კოალიციის სახელმწიფოებმა მტკიცედ განაცხადეს: მოწინააღმდეგის ცდებს — გამოიყენოს ომში ქიმიური იარაღი — გამანადგურებელ წინააღმდეგობას გავუწევთო".

ეს მოსაზრება მთლიანად ეხება აგრეთვე ატომურ და წყალბადის შეიარაღებას. თუ დაიდება შეთანხმება ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა იარაღის გამოყენებაზე უარისთქმის შესახებ, მაშინ ამ შეთანხმების მონაწილეთა ასეთი საზეიმოდ ნაკისრი უშენიშვნო ვალდებულება ისეთივე ქმედითი, შემკავებელი ფაქტორი გახდება, როგორიც იყო ყენევის ოქმი მეორე მსოფლიო ომის წლებში ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის მიმართ.

რა თქმა უნდა, შეთანხმებას ატომური იარაღის აკრძალვისა და ამ აკრძალვის დაცვისადმი ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლის დაწესების შესახებ უფრო მეტი მნიშვნელობა ექნებოდა, ვიდრე ყენევის ოქმს. მაგრამ ამ ეტაპზე უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა ატომური იარაღის გამოყენებაზე უარისთქმის შესახებ შეთანხმებასაც.

ბურჟუაზიული პრესის ზოგიერთი ორგანო, კერძოდ, ლონდონის „ტაიმსი", ილაშქრებს რა ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა იარაღის გამოყენებაზე უარისთქმის შესახებ საბჭოთა წინადადების წინააღმდეგ, ბუნდოვნად აცხადებს, რომ პრეზიდენტი ეიზენჰაუერი „აპირებდა უზრუნველეყო უფრო ქმედითი გარანტიები ატომური ომის საფრთხის წინააღმდეგ". მაგრამ, რაც უნდა გვსურდეს, ამ „უფრო ქმედითი გარანტიების" ოდნავ ხსენებასაც ვერ ვიპოვით ვერც პრეზიდენტ ეიზენჰაუერის 1953 წლის 8 დეკემბრის სიტყვაში, ვერც ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელ მოღვაწეთა შემდგომ განცხადებებში.

როგორც ცნობილია, ეიზენჰაუერმა მოითხოვა, რომ იმ სახელმწიფოებმა, რომლებსაც ატომური იარაღი აქვთ, ნორმალური ურანისა და ხლეჩადი მასალების თავიანთი მარაგის „რაღაც" მცირე ნაწილი სამშვიდობო მიზნებით გამოსაყენებლად გადასცენ საერთაშორისო ორგანოს, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მფარველობაში იქნებოდა.

ეიზენჰაუერის წინადადება მისი ახლანდელი სახით არ აჩერებს ატომური იარაღის მზარდ წარმოებას: იგი არ ზღუდავს ამ იარაღის გამოყენების შესაძლებლობას. ეიზენჰაუერის წინადადებას, რა თქმა უნდა, სხვა მნიშვნელობა ექნებოდა, იგი რომ ეყრდნობოდეს აღიარებას, რომ საჭიროა აკრძალოს ატომური ბომბი და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღი.

სავსებით ცხადია, რომ ყველაზე „ქმედითი გარანტია", რომელზეც „ტაიმსი" ლაპარაკობს, იქნებოდა ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც თავიდან აგავორებდა ატომური ომის საფრთხეს და შესაძლებელს გახდიდა სამშვიდობო მიზნებით გამოგვეყენებინა ხლეჩადი მასალების მარაგის არა „რაღაც" მცირე ნაწილი, არამედ ატომის თელი ენერგია.

ამ დიდი კეთილშობილური მიზნის მიღწევა იმ ქვეყნების სახელმწიფოთა მოღვაწეებისაგან, რომელთაც ეს განსაკუთრებით ეხებათ, მოითხოვს სერიოზულ, გულწრფელ ღონისძიებებს. და ეს მიზანი მით უფრო მალე იქნება მიღწეული. რაც უფრო მეტ კეთილ ნებას და თანამშრომლობის სურვილს გამოიჩენენ დაინტერესებული მხარეები. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საბჭოთა წინადადება მნიშვნელოვნად აადვილებს ამ ამოცანის გადაჭრას. იმ საერთაშორისო შეთანხმების მიღწევა, რომ შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოებმა საზეიმოდ იკისრონ უშენიშვნო ვალდებულება — გამოყენებულ არ იქნას ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა იარაღი, მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა შეიარაღებიდან ამ სახეობათა იარაღის სრული ამოღებისა და იმ სასტიკი საერთაშორისო კონტროლის დაწესების გზაზე, რომელიც უზრუნველყოფს იმას, რომ შესრულდეს შეთანხმება სამხედრო მიზნებით ატომის ენერგიის გამოყენების აკრძალვის შესახებ.

ამრიგად, საბჭოთა მთავრობის წინადადება შესაძლებლობას იძლევა გადაუდებლად შეიქმნას ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა იარაღის გამოყენების სერიოზული, შემკავებელი ფაქტორი. ამ წინადადების განხორციელება დაუყოვნებლივ შეანელებდა საერთაშორისო დაძაბულობას და სერიოზულად გააადვილებდა ატომური ომის საფრთხის გავლებით თავიდან აშორების საკითხის გადაჭრას.

საბჭოთა ხალხი მტკიცედ უჭერს მხარს საბჭოთა მთავრობის წინადადებას. იგი დარწმუნებულია, რომ ომის საფრთხე შეიძლება აღიკვეთოს და კიდევაც უნდა აღიკვეთოს, თუ არის კეთილი ნება და სურვილი — განხილულ იქნას მომწიფებული საერთაშორისო საკითხები, რომელთა შორის ახალი მსოფლიო ომის საშინელებისაგან კაცობრიობის გადარჩენის საკითხს უაღრესად თვალსაჩინო ადგილი უკავია.

ამ საკითხების გადაჭრა, უეჭველია, ხელს შეუწყობს მშვიდობის განმტკიცებასა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაუმჯობესებას.

„პრავდის" 26-XII მოწინავე

ვადამდე შეასრულეს წლიური გეგმა

„გლავმუკას" საქართველოს ტრესტმა 1953 წლის საწარმოო პროგრამა 18 დეკემბერს 102 პროცენტით გაანაღდა. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა უმაღლესი ხარისხის ფქვილის გამოშვება.

საბჭოთა საქართველოს დღე

★ ★ ★

გელათელ მეშახტეთა მიღწევა

ტყიბული. (საკ. კორ.). რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში გელათის შახტის კოლექტივმა, რომელიც „კრასნოლურჩუგოლის" ტრესტის (უკრაინა) კოლექტივს ეჯიბრება, ამ დღეებში ახალი წარმატება მოიპოვა — 14 დეკემბერს მესამე ცვლაში გადაჭარბებით შეასრულა ქვანახშირის ამოღების მიმდინარე წლის დავალება.

დეკემბერში გელათელებმა მნიშვნელოვნად გაადიდეს ქვანახშირის სადღეღამისო ამოღების ტემპი, გეგმასთან შედარებით 5 პროცენტით გაზარდეს შრომის ნაყოფიერება, ხოლო ტონა ქვანახშირის თვითღირებულება 6 მანეთით და 45 კაპიკით შეამცირეს.

იზრდება მშრომელთა მყიდველობითი უნარი

ჟუთაისი. (საკ. კორ.). უკანასკნელ ხანებში რაიონში საგრძნობლად ფართოვდება სავაჭრო ქსელი. ახალი კეთილმოწყობილი მაღაზიები გაიხსნა ოფშკითში, სორმანში და სხვა სოფლებში.

რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციამ წელს განვლილ 11 თვეში 4 მილიონი მანეთით მეტი ივაჭრა, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

მშრომელებმა დიდი რაოდენობით შეიძინეს პიანინოები, რადიომიმღებები, ძვირფასი ავეჯი და სხვ.

ახალი სახის პროდუქციის ათვისება

სტალინირის მექანიკური ქარხნის კოლექტივმა ამას წინათ მიიღო საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს დავალება ე. წ. მიკროქვაბების გამოშვების ათვისების შესახებ. ამასთან სამინისტრომ ქარხნის კოლექტივს ამ საქმეში დახმარების გასაწევად გამოუგზავნა სპეციალისტი ინჟინრები.

ქარხნის მოწინავე ადამიანების ინჟინერ ე. კლიუიოვას, ხარატების მ. კუბლაშვილის, დ. თედეევის, ვ. კუჩეროვის და ამწყობ ნ. ტრუფანოვის დახმარებით ეს დავალება ქარხნის კოლექტივმა წარმატებით შეასრულა, მიკროქვაბების პირველი პartია უკვე გამოუშვა. („კომუნისტის" კორ.).

კოლმეურნემ შეიძინა მსუბუქი ავტომანქანა „ზიმი"

ჟოგულეთი. („კომუნისტის" კორ.). ბედნიერად, შეძლებულად ცხოვრობენ კოლმეურნეები სოფელ ხალას ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში, რომლის ფულადი შემოსავალი 4 მილიონ მანეთის აღემატება. კოლმეურნეები იშენებენ ახალ სახლებს, იძენენ ძვირფას საოჯახო ნივთებს. სოფელში 10-ზე მეტ კოლმეურნეს აქვს მსუბუქი ავტომანქანა „პობედა" და „მოსკვიჩი".

მოწინავე კოლმეურნემ აზიზ ჯანიძემ, რომელსაც დღემდე მსუბუქი ავტომანქანა „პობედა" ჰქონდა, ახლახან შეიძინა ავტომანქანა „ზიმი".

ორი კოლმეურნეობის შეჯიბრება

დუშეთი. (საკ. კორ.). მჭადიჯვრის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა წელს წარმატებას მიაღწიეს, თვითეულ შრომადღეზე მარტო ავანსად ოთხ კილოგრამზე მეტი მარცვლეული გასცეს. კარგად მოემზადნენ პირუტყვის გამოზამთრებისათვის, საუკეთესოდ ჩატარეს საშემოდგომო თესვა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები.

მჭადიჯვრელები მიღწეულით არ კმაყოფილდებიან. მათ ახალი ვალდებულებები იკისრეს და შეჯიბრებაში ბაზალეთის კოლმეურნეობა გამოიწვიეს.

ამ დღეებში მჭადიჯვარში ბაზალეთის კოლმეურნეობის წევრთა დელეგაცია ჩავიდა. დელეგაციის წევრები გაეცნენ მჭადიჯვრელთა საზოგადოებრივი მეურნეობის ყოველ უბანს, დაათვალიერეს ახალშენებანი, გაეცნენ მოწინავე ადამიანებს.

სტუმრებთან შესახვედრად სასოფლო კლუბში უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. სიტყვები წარმოთქვეს კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა ი. ძლიერიშვილმა და ფ. ლალიაშვილმა.

მჭადიჯვრის კოლმეურნეობის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმის გამგე ვ. დინუაშვილი, მევენახეობის ბრიგადირი კ. ძლიერიშვილი, აგრონომი ტ. კალაძაძე და სხვები სტუმრებს ესაუბრნენ თავიანთ გამოცდილებაზე.

კოლმეურნეთა კრებამ განიხილა და დაამტკიცა სოციალისტური შეჯიბრების ახალი ხელშეკრულება.

კოსტრომული ჯიშის ძროხები რუსეთში

თელავი. (საკ. კორ.). რუსეთის კოლმეურნეობა „ყურძენ-თავთავიმ" შარშან 28 სული კოსტრომული ჯიშის დეკეული შეიძინა. ჯიშიანი პირუტყვი კარგად შეეგუა ადგილობრივ პირობებს. მათ მზრუნველობით უვლიან კოლმეურნეები მ. ნონიკაშვილი და ი. ძამუკაშვილი.

კოსტრომული ჯიშის 7 ძროხამ უკვე მოიგო ხბოები. ახლადშობილი თვითეული ხბოს წონა 30-40 კილოგრამს უღრის. ადგილობრივი ჯიშის ხბოების წონა კი 12-15 კილოგრამს არ აღემატება.

თვითეული ძროხა დღეში ათ ლიტრ რძეს იძლევა. ძროხა „დოიკამ" ოც დღეში 210 ლიტრი რძე მოიწველა, ადგილობრივი ჯიშის ძროხები კი პირველი ხბოიანობის შემდეგ დღეში 3-4 ლიტრზე მეტ რძეს არ იძლევიან.

კოლმეურნეობამ გადაწყვიტა მთლიანად კოსტრომული ჯიშის პირუტყვი მოაშენოს.

სოციალისტური შრომის გმირის რგოლის წარმატება

ქედა. (საკ. კორ.). წელს მაღალნაყოფიერად იმუშავა სოფელ ახოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მევენახეთა იმ რგოლმა, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი ა. ნაკაშიძე ხელმძღვანელობს. რგოლმა 2,6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 126 ცენტნერი ყურძენი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 70 ცენტნერისა.

წარმატებას რგოლმა მიაღწია აგროტექნიკურ ღონისძიებათა თანმიმდევრულად განხორციელებით, შრომის სწორი ორგანიზაციით და მოწინავე მევენახეთა მდიდარი გამოცდილების ფართოდ დანერგვით.

საკუთარი ნერგით თავის უზრუნველყოფის მიზნით რგოლმა მოაწყო სანერგე 1.500 კვადრატულ მეტრ ფართობზე, რომელშიც წელს გამოყვანილია 7.500 ძირი მაღალხარისხოვანი ნერგი.

დიდი დიამეტრის ფოლადის მილები

მიტინგი სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში, მიძღვნილი მილსაგლინავი დანადგარის ამუშავებისადმი

რუსთავი. (საკ. კორ.). 25 დეკემბერს, დღის ბოლოს, სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის დიდდიამეტრიანი მილების საგლინავ საამქროში ლოზუნგებითა და პლაკატებით მორთულ გოლიათურ აგრეგატ „400"-სთან თავი მოიყარა ასობით ახალგაზრდა მილმგლინავმა. მშენებელმა და მემონტაჟემ.

სახელდახელო მიტინგი, რომელიც მიეძღვნა ახალგაზრდა მგლინავების მიერ დიდდიამეტრიანი უნაწიბორო ფოლადის მილების წარმოების მოკლე ვადაში ათვისებას, გახსნა პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. ჩალაძემ.

სიტყვა აიღო ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის მმართველმა ნ. გიორგაძემ. მან ილაპარაკა მშენებელთა და მემონტაჟეთა იმ შრომითს აქტივობაზე, რის შედეგადაც მიღწეულ იქნა სგალინავ აგრეგატ „400"-ის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მაღალხარისხოვნად შესრულება და საფუძველი ნიადაგი მომზადდა მილმგლინავთა ნაყოფიერი შრომისათვის.

სიტყვით გამოვიდა აგრეგატ „400"-ის უფროსი, ახალგაზრდა სპეციალისტი პ. წერეთელი. მან მადლობა გადაუხადა მშენებლებსა და მემონტაჟეებს, აგრეთვე უკრაინელ მეტალურგებს, რომელთა დახმარებითაც ასობით ქართველი ახალგაზრდა დაეუფლა მილმგლინავის რთულ პროფესიას. პ. წერეთელმა საამქროს მგლინმავთა სახელით იკისრა, რომ ახალი პროდუქციის ათვისების პირველსავე დღეებიდან გადაჭარბებით შეასრულებს სახელმწიფო გეგმას.

სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე მემონტაჟეთა ბრიგადირმა ხ. ბუკინმა, მეტალურგიული ქარხნის მთავარმა ინჟინერმა კ. ტოკოვომ, სამონტაჟო განყოფილების უფროსმა სტალინური პრემიის ლაურეატმა პ. შვეცმა, სსრ კავშირის მშენებლობის მინისტრის მოადგილემ ამხ. გოლდინმა, სსრ კავშირის მძიმე და საშუალო მანქანათმშენებლობის სამინისტროს წარმომადგენელმა ამხ. სკვორცოვმა და სხვებმა.

მიტინგის დასასრულს გრძელი კონვეიერის როლგანგებზე ერთმანეთს მოსდევდა გავარვარებული ფოლადის ილი და გაცივების შემდეგ საამქროს მზა პროდუქციის განყოფილებაში რამდენიმე ფენად ეწყობოდა. ამავე დღეს რუსთავის მგლინავებმა დიდი დიამეტრის ახალი მილებით დატვირთული რკინიგზის ვაგონი გაუგზავნეს ქუთაისის საწარმოებს. ახალგაზრდა მგლინავები დიდდიამეტრიანი ფოლადის მილებზე დაკვეთებს უსრულებენ ჩვენი ქვეყნის ნავთობის მრეწველობის ობიექტებს.

ამუშავების წინა დღით დანადგარი „400" დაათვალიერა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მეკავნაძემ.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროსათვის სახელწოდების შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სს რესპუბლიკაში სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებულის სამმართველოს შექმნასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს შემდგომში ეწოდოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ძვლივიძე.

ქ. თბილისი. 1953 წ. 26 დეკემბერი.

ოცდაშვიდი ჯონა კიჯრი ჰექტარზე

ნოვგოროდი. (საკდესი). მსტინსკის რაიონის ხოლინსკის სასოფლო საბჭოს სასოფლო-სამეურნეო არტელ „პობედიტელში" შეჯამებულია მებოსტნეთა მუშაობის შედეგები. ამ არტელის კოლმეურნეები ცნობილი არიან როგორც კიტრის მოყვანის ოსტატები. წელს 9,3 ჰექტარზე აღებულია 103 ტონა კიტრი. ამ კულტურის თვითეულმა ჰექტარმა კოლმეურნეობას თხუთმეტი ათას მანეთზე მეტი შემოსავალი მისცა.

განსაკუთრებით უხვი მოსავალი მოიყვანა ო. ვ. ფედოროვას ბრიგადამ, რომელმაც ჰექტარზე 27 ტონა კიტრი აიღო. მაისის დამდეგს ნიადაგში გადარგული მცენარეები პირველ ხანებში ღამით იფარებოდა მინიანი ჩარჩოებით. მაის-ივნისის განმავლობაში ბრიგადამ სამჯერ შეიტანა მინერალური სასუქები, გულმოდგინედ გამარგლა ნათესი. 45 დღის შემდეგ დაიწყო ნაყოფის აღება. ზაფხულის განმავლობაში მოსავალი 20-ჯერ აიღეს. იქ, სადაც კიტრი ჩარჩოების ქვეშ მოჰყავდათ, შემოსავალმა ერთ ჰექტარზე 30 ათას მანეთს გადააჭარბა.

ხოლინსკის სასოფლო საბჭომ განიხილა კოლმეურნეობაში ბოსტნეულის მოყვანის გადიდების საკითხი. 1954 წელს ბოსტნეულს ეთმობა 30 ჰექტარი. აქედან თითქმის ნახევარზე კიტრი დათესავს. მნიშვნელოვნად დიდდება ფართობი, რომელზეც ამ კულტურას ჩარჩოების ქვეშ მოიყვანენ. ბრიგადა კოლმეურნე მებოსტნემ გადაწყვიტა მომავალ წელს გამოიყენოს კიტრის მოყვანის ხოლინსკის წესი.

დიდხანს გამძლე ნაგებობანი პირუტყვისათვის

სმოლენსკი. (საკდესი). საფონოვოს რაიონის კოლმეურნეობებმა დაიწყეს ახალი ტიპის დიდხანს გამძლე ნაგებობათა შენება პირუტყვისათვის. ეს არის საძროხეები, რომლებშიც პირუტყვი მოთავსებულია ოთხ რიგად. როგორც პრაქტიკამ ცხადყო, ასეთი ნაგებობანი მოითხოვენ ნაკლებ მასალას და საექსპლოატაციოდ მეტად მოხერხებული არიან.

ექვს კოლმეურნეობაში უკვე აშენდა ოთხრიგიანი საძროხეები და იქ პირუტყვი დაიბეს. სასოფლო-სამეურნეო არტელ „კრასნაია გორკას" საძროხეში დაამონტაჟეს კიდული გზა, დადგეს ავტოსარწყულებები, საკვებ საამქროში ამონტაჟეებენ მოწყობილობას. ფერმა ელექტროფიცირებულია. შიდასაფერმო ტრანსპორტისა და წყლის მიწოდების მექანიზაციას ახორციელებენ ახალ საძროხეებში კოლმეურნეობა „კრასნაია ზვეზდა" და სხვები.

საფონოვოს რაიონში მთელი რიგი კოლმეურნეობები მეცხოველეობის სადგომებს აშენებენ წიდა-ბეტონის, აგურისა და სხვა დიდხანს გამძლე მასალებით.

ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო არტელი მშენებლობას ზამთარშიც განაგრძობს. ერთ კოლმეურნეობაში შენდება რაიონში პირველი მრგვალი საძროხე, რომელსაც ცენტრში სასილოსე კოშკი აქვს.



სურათზე: 1. ქარხნის მილსაგლინავ საამქროში — (მარცხნიდან მარჯვნივ) გამხურებელი კონსტანტინე რამაზაშვილი, საღუმელე განყოფილების უფროსი ვახტანგ შეყილაძე და უფროსი ოსტატი — პავლე წერეთელი დგანან აგრეგატ „400"-ის საკარუსელო ღუმელთან; 2. ტექნიკური კონტროლის განყოფილების კონტროლიორები ვალენტინა ნოვიკოვა და სურენ მაქოიანი ამოწმებენ მილების გაგლინვის ხარისხს.

ფოტო ვ. ზარიძისა.

საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად იწონებს სასამართლოს განაჩენს

მტკიცეა მშრომელთა მისწრაფება-მთელი თავიანთი ძალები მოახმარონ სამშობლოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებას

უარღვევია ხალხთა მეგობრობა

ტყიბული. (საკ. კორ.). მეშახტეებმა ერთსულოვნად მოიწონეს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მიერ ბერიას და მისი ბანდის საქმეზე გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი.

სტალინის სახელობის შახტის ხალხმრავალ კრებაზე სიტყვა აიღო სპატეიო მეშახტემ ქ. ბეშქენაძემ. მან განაცხადა:

— ხალხის მტრებმა — ბერიამ და მისმა დამქაშებმა ხელი აღმართეს იმის წინააღმდეგ, რაც ყველაზე ძვირფასია ჩვენთვის — მშობლიური მუშურ-გლეხური წყობილების წინააღმდეგ. საერთაშორისო იმპერიალიზმის ეს აგენტები ოცნებობდნენ იმაზე, რომ შუღლი დაეთესათ ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ხალხთა შორის. მაგრამ საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა ურღვევია. მტრები განადგურებულ იქნენ.

მოწინავე მნგრეველმა დ. ნიკოლაძემ თქვა:

— ჩვენ მოხარული ვართ, რომ სსრ კავშირის უმაღლესმა სასამართლომ დაამყოფილა საბჭოთა ხალხის მოთხოვნა და მკაცრად დასაჯა სამშობლოს მოღალატენი. მომავალშიც ყველა, ვინც კი ხელს აიმართავს საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ, ხალხთა ურღვევი მეგობრობის წინააღმდეგ, გასრესილ იქნება როგორც შხამიანი ქვეწარმავალი!

სამართლიანი განაჩენი

გორი. (საკ. კორ.). სოფელ კარალეთში 500-ზე მეტი კოლმეურნე მოვიდა კრებაზე, რათა გამოეთქვათ ღრმა კმაყოფილება სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს განაჩენის გამო.

— რამდენიმე დღის წინათ, — თქვა ბრიგადირმა ა. მურადაშვილმა, — ისე როგორც მთელმა საბჭოთა ხალხმა, მოვითხოვეთ ბერიასა და მის თანამზრახველთა სიკვდილით დასჯა. მშრომელთა ეს მოთხოვნა შესრულებულია. საბჭოთა სასამართლოს სამართლიანი განაჩენით განადგურებული არიან სამგზის საზიზღარი ბერია და კაკისმკვლელთა მისი ბანდა. ბრიგადის წევრთა სახელით პირობას ვაძლევ პარტიას, საბჭოთა მთავრობას, რომ გაორკეცებული ენერგიით ვიმუშავებთ საყვარელი სამშობლოს ძლიერების კიდევ უფრო განმტკიცებისათვის.

კრებაზე სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე აგრონომმა გ. დეკანოსიძემ, პარტბიუროს მდივანმა რ. გოგიაშვილმა და სხვებმა.

კრების რეზოლუციაში ნათქვამია, რომ კარალეთელი კოლმეურნეები ერთსულოვნად იწონებენ საბჭოთა სასამართლოს განაჩენს და პირობას იძლევიან გააძლიერონ რევოლუციური სიფხიზლე, მთელი ძალღონე მოახმარონ საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეო შრომას.

დედა — სამშობლო უძლეველია

გარეწარ ბერიასა და მის მსგავს ნაძირალათაგან შეკოწიწებული ბანდის მოღალატურმა მოქმედებამ უდიდესი აღშფოთება და რისხვა გამოიწვია ყოველ საბჭოთა ადამიანში.

ძნელია ადამიანის გონებამ წარმოიდგინოს ის ბინძური და ავაზაკური მეთოდები, რომლითაც ჯაშუშ-შეთქმულთა ხროვა ცდილობდა ზიანი მიეყენებინა ჩვენი სამშობლოსათვის, ძირი გამოეთხარა მუშურ-გლეხური საბჭოთა წყობილებისათვის და ბურჟუაზიის ბატონობა დაემყარებინა.

სამშობლოს გამყიდველი და მოღალატე ბერია და მისი დამქაშები გაცამტვერებული არიან. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სპეციალური სასამართლო საკრებულოს დადგენილება საყოველთაო სახალხო მოწონებას იწვევს, იგი ყველა საბჭოთა ადამიანის აზრსა და სურვილს გამოხატავს.

ვერავითარი მტერი, ვერც გარეშე და ვერც შინაური, ვერ შეარყევს ჩვენი ქვეყნის ძლიერებას.

ი. გრიშაშვილი.

მოღალატენი გასრესილი არიან

დიდი იყო ყველა პატიოსანი საბჭოთა მოქალაქის აღშფოთება ბერიასა და მისი მოღალატური ბანდის საზიზღარ დანაშაულობათა გამო. მოზღვავდა მთელი ხალხის რისხვა. ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში მოითხოვდნენ ამ გადაგვარებულთა სასტიკად დასჯას.

ხალხის ნება შესრულებულია! საზიზღარი დამნაშავენი, სოციალისტური სამშობლოს მოღალატენი აღგვილი არიან მიწის პირისაგან.

დაე იცოდეს ყველამ, რომ ვინც ხელს შემართავს ჩვენს ხალხზე, მის დიად მონაპოვარზე, კომუნისტურ პარტიაზე, იგი ულმობლად გაისრისება. საბჭოთა მართლმსაჯულება თვალისჩინივით იცავს და უფრთხილდება მშრომელთა ინტერესებს.

შალვა დადიანი.

თბილისელ ფეიქართა სიტყვა

საქსელე განყოფილების დიდი დარბაზი ხალხს ვერ იტევს... აქ მოვიდნენ აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის მუშები — მქსელავები, მქსოველები, ოსტატები, ინჟინრები, ტექნიკოსები.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სპეციალური სასამართლო საკრებულოს განაჩენი ბერიასა და მის მიერ შეკოწიწებული ბანდის სიკვდილით დასჯის შესახებ შეკრებილთ გააცნო პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანმა ამხ. ნ. ჯაშმა.

— თბილისელ ფეიქრებში, ისევე როგორც ყოველ საბჭოთა ადამიანში, — ამბობს საქსოვი საამქროს ოსტატის თანაშემწე დ. ალიბეგაშვილი, — უდიდესი კმაყოფილება გამოიწვია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს განაჩენმა. ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, ღრმად გვწამს, რომ მომავალშიც უმაკაცრესად დაისჯება ყველა ის, ვინც შეეცდება თავისი ბილწი ხელი აიმართოს საბჭოთა ადამიანების ბედნიერების, სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის წინააღმდეგ.

სიტყვები წარმოთქვეს და მოღალატე ბერიასა და მკვლელთა მისი ბანდის დახვრეტის გამო ერთსულოვანი კმაყოფილება გამოთქვეს აგრეთვე ფაბრიკის დირექტორმა ე. ღავთაძემ, სტახანოველმა მქსოველმა ფ. გიორგაძემ, მქსოველმა ფ. პეტკოვამ და სხვებმა.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ფაბრიკის მრავალრიცხოვანი კოლექტივი იწონებს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს განაჩენს ბერიასა და მის თანამზრახველთა სიკვდილით დასჯის შესახებ.

ვერაგი მჯერი განადგურებულია

შესვენების დროს, თბილისის სამსხმელო-მექანიკური ქარხნის კლუბში მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა კრებას ქარხნის დირექტორმა გ. ბარძიმოვმა გააცნო სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს დადგენილება მოღალატე ბერიას და მისი თანამონაწილეებისათვის სიკვდილის მისჯის შესახებ.

— ჩვენი ქარხნის კოლექტივი, — განაცხადა სამჭედლო საამქროს ბრიგადირმა მ. ქველაშვილმა, — უდიდესი კმაყოფილებით შეხვდა ცნობას იმის შესახებ, რომ ხალხის უსაზიზღრესი მტრები — ბერია და მისი თანამზრახველები დახვრეტილ იქნენ. ასრულდა საბჭოთა ხალხების ნება! მადლობა კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას, რომ დროზე გამომაძევეს სამშობლოს მოღალატეთა ვერაგული ზრახვები!

სიტყვებით გამოსული ამხანაგები კ. ხეჩანოვი, კ. ანანიაშვილი, გ. გოდერძიშვილი, ა. კაკაბაძე და სხვები გამოთქვამდნენ კმაყოფილებას იმის გამო, რომ საბჭოთა მართლმსაჯულებამ დამსახურებული სასჯელი მიუზღო იმპერიალიზმის აგენტებს.

ქარელის რაიონში

სოფლების ელექტროფიკაცია და რადიოფიკაცია

სოფლებში დირბსა და ბრეთში დამთავრდა ელექტროხაზის გაყვანა და სატრანსფორმატორო კოსკების მოწყობა. 1954 წლის იანვრიდან ხაზში ჩაირთვება ტირიფონჰესის ელექტროდენი. ელექტროგანათებით უზრუნველყოფილ იქნება კოლმეურნეთა ბინები და საზოგადოებრივი ობიექტები. სოფლებში მოხისსა და ჭანდრეში გაყვანილია რადიოსატრანსლაციო ხაზი. მეტი წილი კოლმეურნეების ბინებში დადგმულია რადიო.

1.210.000 მანეთი გრძელვადიანი სესხი კოლმეურნეობებს

მიმდინარე წელს რაიონის კოლმეურნეობებმა სახელმწიფოსაგან მიიღეს 1.210.000 მანეთი გრძელვადიანი სესხი. ამ თანხიდან ფერმების ბინების მშენებლობასა და პირუტყვის შეძენას მოხმარდება 168 ათასი მანეთი, მემცენარეობას — 140 ათასი, ელექტროფიკაციას — 242 ათასი, მინერალური სასუქების შეძენას — 200 ათასი. გრძელვადიანი სესხი განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მიიღეს სოფლების დირბის, ბებნისის, რუისისა და ზღუდრის კოლმეურნეობებმა.

ზრუნვა მრავალშვილიან და მარტოხელა დედებზე

წელს რაიონში 557 მრავალშვილიანმა და 7 მარტოხელა დედამ მიიღო 584.575 მანეთი დახმარება, ხოლო ერთდროული დახმარების სახით — 293.560 მანეთი. 46 მრავალშვილიანი დედა დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

ახალი მოსავლის შაქარი

აგარის შაქრის ქარხანამ ახალი მოსავლის შაქრის ჭარხლის გადამუშავება დაიწყო მიმდინარე წლის 14 ოქტომბერს. 20 დეკემბრისათვის ქარხანას უკვე გამოშვებული აქვს ათიათასობით ცენტნერი ფხვნილი შაქარი.

პროპაგანდისტთა ექსკურსია

პარტიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ ქალაქ თბილისში მოაწყო პროპაგანდისტთა ექსკურსია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 61 პროპაგანდისტმა. ექსკურსანტებმა დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები, ვ. ი. ლენინის მუზეუმი და იქვე მოისმინეს ლექცია ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

ვ. გურგენიძე.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

ნიზამი განჯელის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია

გუშინ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობა დაამთავრა სამეცნიერო სესიამ, რომელიც მიეძღვნა დიდი აზერბაიჯანელი პოეტის ნიზამი განჯელის გარდაცვალების 750 წლისთავს.

სესიის 25 დეკემბრის სხდომაზე მოსმენილ იქნა დოცენტ კ. ფაღავას მოხსენება — „ნიზამი განჯელის ცხოვრება და შემოქმედება“, პროფესორ ლ. მელიქსეთ-ბეგის — „ხოსროვისა და შირინის პრენიზამისეული ერთ-ერთი ვერსიისათვის“, უფროს მასწავლებელ კ. ტაბატაძის „ნიზამი და მისი დრო“. 26 დეკემბერს მოხსენებები წაიკითხეს ასპირანტმა დ. ალიევამ — „ქართულ-აზერბაიჯანული ლიტერატურული ურთიერთობიდან“, ა. გვახარიამ — „ნიზამი და საქართველო“.

ნიზამი განჯელის ლექსების საკუთარი თარგმანი წაიკითხა მ. თოდუამ.

საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის მოწვევის შესახებ ბერლინში

8 დეკემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიიღო საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა იდენტური ნოტები პასუხად საბჭოთა მთავრობის 26 ნოემბრის ნოტისა საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის მოწვევის საკითხებზე.

26 დეკემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოებს მოსკოვში გაუგზავნა საბჭოთა მთავრობის სპასუხო ნოტა.

ქვემოთ ქვეყნდება საფრანგეთის მთავრობის 1953 წლის 8 დეკემბრის ნოტის ტექსტი და საბჭოთა მთავრობის 1953 წლის 26 დეკემბრის ნოტის ტექსტი.

საფრანგეთის მთავრობის 1953 წლის 8 დეკემბრის ნოტა

საფრანგეთის საელჩო თავის პატივისცემას უცხადებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს და პატივი აქვს აცნობოს შემდეგი:

საფრანგეთის მთავრობა ბედნიერია აღნიშნოს, რომ საბჭოთა მთავრობა, თანახმად მისი 26 ნოემბრის ნოტისა, ახლა მზად არის მიიღოს მონაწილეობა საფრანგეთის, შეერთებული სამეფოს, შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირში. საფრანგეთის მთავრობას იმედი აქვს, რომ ეს თათბირი შესაძლებელს გახდის განხორციელდეს გერმანიის გაერთიანება თავისუფლების პირობებში და დაიდოს ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულება.

საფრანგეთის მთავრობა დარწმუნებულია, რომ ნამდვილი პროგრესი გერმანიისა და ავსტრიის საკითხთა მოწესრიგებაში, რომლებიც განსაკუთრებით სასწრაფოა, ხელს შეუწყობს, რომ გადაწყდეს სხვა დიდი საერთაშორისო პრობლემები, მათ შორის ევროპის უშიშროების პრობლემა. საფრანგეთის მთავრობა ამასთან დაკავშირებით კვლავ ადასტურებს, რომ ატლანტიკის კავშირის თავისუფალი ქვეყნების ნებაყოფლობითი გაერთიანება, ავრეთვე ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოთა პოლიტიკა მათი საერთო კეთილდღეობის განვითარებისა და მათი საერთო უშიშროების უზრუნველყოფის დარგში წმინდა თავდაცვითი ხასიათისაა და წარმოადგენს კოლექტიურ წვლილს მშვიდობის საქმეში.

სსრ კავშირის მთავრობამ გამოთქვა სურვილი განხილულ იქნას ხუთი სახელმწიფოს კონფერენციის მოწვევის შესაძლებლობა. ოთხი საგარეო საქმეთა მინისტრის გათვალისწინებული თათბირი შესაძლებლობას მისცემს ამ თათბირის მონაწილე თვითეულ მთავრობას ჩამოაყალიბოს თავისი თვალსაზრისი ამ საკითხზე.

საფრანგეთის მთავრობას, გერმანიის ფედერალურ მთავრობასთან და ბერლინის გერმანელ ხელისუფლებთან კონსულტაციის შემდეგ, წინადადება შემოაქვს, რომ ოთხი საგარეო საქმეთა მინისტრის თათბირი დაიწყოს 1954 წლის ოთხ იანვარს შენობაში, რომელსაც იყენებდა სამოკავშირეო-საკონტროლო საბჭო ბერლინში.

საბჭოთა მთავრობის 1953 წლის 26 დეკემბრის ნოტა

საბჭოთა მთავრობა ადასტურებს საფრანგეთის მთავრობის 8 დეკემბრის ნოტის მიღებას, რომელიც წარმოადგენს პასუხს საბჭოთა მთავრობის ამა წლის 26 ნოემბრის ნოტაზე.

საბჭოთა მთავრობა ცნობად იღებს, რომ საფრანგეთის მთავრობა თანახმაა მოწვეულ იქნას საფრანგეთის, სსრ კავშირის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი ბერლინში.

სსრ კავშირის მთავრობა ადასტურებს წინათ ჩამოყალიბებულ თავის პოზიციას საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის მოწვევის საკითხში. ამ თათბირის მნიშვნელობას იგი აფასებს იმასთან დაკავშირებით, რომ შესაძლებელია მივაღწიოთ საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელებას, თუ თათბირის ყველა მონაწილე შესაბამის მისწრაფებას გამოიჩენს, და რომ საჭიროა უზრუნველვყოთ ევროპის უშიშროება და აღმოვფხვრათ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების საფრთხე.

საბჭოთა მთავრობა აღნიშნავს საფრანგეთის მთავრობის თანხმობას — განხილულ იქნას ის საკითხი, რომ მოეწყოს ხუთი სახელმწიფოს თათბირი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მონაწილეობით, რამდენადაც ხუთი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი, ბუნებრივია, ყველაზე მეტად შეუწყობს ხელს მომწიფებული საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგებას.

ითვალისწინებს რა, რომ აუცილებელია შესაბამისი მომზადება საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირისათვის, აგრეთვე, რომ საჭიროა ყველა მთავრობისათვის უზრუნველყოფილ იქნას ამ თათბირში მონაწილეობის სათანადო პირობები, საბჭოთა მთავრობას თათბირის ყველაზე შესაფერ თარიღად მიაჩნია 1954 წლის 25 იანვარი ან ყოველი მომდევნო დღე.

რაც შეეხება იმას, თუ რომელ შენობაში უნდა მოეწყოს აღნიშნული თათბირი, მიზანშეწონილია ეს საკითხი გადაწყდეს ბერლინში ოთხი სახელმწიფოს უმაღლეს კომისართა წარმომადგენლებს შორის შეთანხმებით.

საბჭოთა მთავრობამ ანალოგიური ნოტები გაუგზავნა აგრეთვე ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს.

გავაუმჯობესოთ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა სოფლად

გაიმართა საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პლენუმი, რომელშიც მოისმინა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის ამხ. ა. გუნიას მოხსენება და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის დ. მოსელიანის თანამოხსენება საკითხზე „როგორ ასრულებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებას საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს დაწესებულებები“.

რესპუბლიკის სოფლებში წლითიწლობით ფართოვდება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი. სოფლის მოსახლეობას ემსახურება 1.650 კულტურის სახლი, კლუბი, ბიბლიოთეკა, მხარეთმცოდნეობისა და მემორიალური მუზეუმი, 803 ელექტრონა ჯგუფი, სოფლის ელექტრონიუმი და სხვ. სოფლად მასობრივი ბიბლიოთეკებს წიგნის ფონდში 4,5 მილიონზე მეტი წიგნია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა გამოქვეყნების შემდეგ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა სოფლად რამდენადმე გაძლიერდა. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს დაწესებულებები შეფობას უწევენ სასოფლო კლუბებს, კულტურის სახლებს, ბიბლიოთეკებს. რესპუბლიკის რაიონებში გაგზავნილია მწერალთა, ელექტორთა ბრიგადები, ადგილობრივ მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში ამზადებენ გამოფენებს, რომლებიც ასახავენ საკოლმეურნეო წარმოების წარმატებებს, და სხვ.

მაგრამ, როგორც პლენუმის მონაწილეებმა აღნიშნეს, სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაჩაღების საქმეში სერიოზული ნაკლოვანებებია. კლუბები და ბიბლიოთეკები სოფლებში ხშირად სწორად არ არის განლაგებული, ამან გამოიწვია ის, რომ 235 სოფელში არც ერთი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება არ არის.

ბევრ კლუბში კულტურულ-მასობრივი მუშაობა უყურადღებოდ არის მიტოვებული. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა სოფლის მეურნეობის დარგის წიგნების გამოცემას. საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა არ ასრულებს ამ ლიტერატურის გამოცემის გეგმებს. წიგნებს სოფლის მეურნეობის საკითხებზე ცუდად აფორმებენ.

საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს სოფლად ლექციური პროპაგანდის გაძლიერებას, მისი ყურადღების ცენტრში უნდა იყოს მოწინავეთა გამოცდილებისა და საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მიღწევების პროპაგანდა.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს პროფ. ნ. იაშვილმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ნ. კეცხოველმა, პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის წევრმა ა. კოკილაშვილმა, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მთავარი სამმართველოს უფროსმა ი. ახვლედიანმა და სხვებმა.

პლენუმზე გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურისა და მეცნიერების განყოფილების გამგე ამხ. ვ. მელქაძე.

პლენუმმა დასახა სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებანი. (საქდესი).

საგაზეთო თემაზე

შემოქმედებითად მოვაწყოთ რაიონული გაზეთების მუშაობა

ჯავის რაიონის თითქმის ყველა კოლმეურნეობას კარტოფილის მოსავლიანობის გადიდების ფართო შესაძლებლობანი აქვს. მაგრამ აქ ამ კულტურის დაბალ მოსავალს იღებენ.

მიმდინარე წლის შემოდგომაზე რაიონში ყურადღება მიიქცია სოფელ წრუს ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის წარმატებამ. აქ კარგად მოუარეს კარტოფილის ნათესებს, ზუსტად განახორციელეს აგროტექნიკური წესები და გეგმის გადამეტებით ათობით ტონა კარტოფილი მიიღეს.

რაიონულმა გაზეთმა **„სოციალისტონ ფოსდარდმა“** („სოციალისტური მეცხოველეობა“) მოათავსა წერილი წრუელთა მიღწევის შესახებ. მოსალოდნელი იყო, რომ გაზეთი ადგილობრივი ცხოვრებიდან აღებული კონკრეტული ფაქტის გამოყენებით ფართოდ უჩვენებდა კარტოფილის მოსავლიანობის გადიდების გზას. მაგრამ მან თავი აარიდა თავის პირდაპირ მოვალეობას და ამ საყურადღებო მოვლენის შესახებ მკითხველებს მიაწოდა მხოლოდ მშრალი ინფორმაცია.

რა თქმა უნდა, რაიონული გაზეთი უნდა აქვეყნებდეს ინფორმაციებსაც საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა წარმატებების შესახებ. მაგრამ დიდი ამოცანის გადაჭრა მთავარი საკითხის პრინციპულად დაყენების გარეშე ხომ არ შეიძლება. „სოციალისტონ ფოსდარდის“ სერიოზული ნაკლი სწორედ ის არის, რომ იგი თავს ვერ აღწევს შეზღუდულობას და მეტწილად ფაქტების აღრიცხვით კმაყოფილდება.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების გამოქვეყნებიდან საკმაო დრო გავიდა, „სოციალისტონ ფოსდარდს“ კი დღემდე არ გაუკეთებია საჭირო დასკვნები, ღრმად არ სწვდება რაიონის ცხოვრებას. უკანასკნელი სამი თვის მანძილზე გაზეთის ფურცლებზე რაიმე საკვანძო საკითხის ირგვლივ არ დაბეჭდილა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, საწარმოო ბრიგადების ხელმძღვანელების, მეცხოველეობის ფერმების გამგეების წერილები. გაზეთი არ ცდილობს შემოიკრიბოს თავის გარშემო ფართო აქტივი, ის ადამიანები, რომლებიც დგანან ცხოვრების შუაგულში, ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლის მოწინავე ხაზზე.

ჯავის რაიონში სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგი ჩამორჩენილია. ეს გაზეთის მუშაკებსაც არ უნდა აძლევდეს მოსვენებას. მაგრამ „სოციალისტონ ფოსდარდის“ დროდადრო გამოსვლა უკბილო კრიტიკით „ამინდს ვერ აყენებს“. ჩამორჩენის დაძლევაში დიდი როლი ეკისრებათ საკოლმეურნეო პარტორგანიზაციებს. გაზეთი სისტემატურად უნდა აქვეყნებდეს საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების წერილებს. გაზეთმა კი სამი თვის მანძილზე გამოაქვეყნა მხოლოდ ერთი პარტორგანიზაციის მდივნის წერილი.

მთის სოფელ კროზაში რამდენიმე წელია მუშაობს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს ბოსტნეულისა და კარტოფილის ჯიშთა გამოცდის სადგური. სადგურის მრავალმხრივ საინტერესო მუშაობის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ჯავის რაიონის მაღალმთიან სოფლებში შეიძლება ბოსტნეულის (კომბოსტო, სტაფილო, კიტრი და სხვ.) არა მარტო მოყვანა, ჯრამედ მისი მოსავლიანობის მკვეთრად გადიდებაც. საცდელი სადგურის ტერიტორიაზე უკანასკნელ წლებში ბოსტნეულის მაღალი მოსავალი მოჰყავთ. ამ ზონის კოლმეურნეობები კი მებოსტნეობას არ მისდევენ. საცდელი სადგურის გამოცდილება ცუდად ინერგება საკოლმეურნეო წარმოებაში. მაგრამ გარდა ერთი პატარა წერილისა, რომელიც შეიცავდა ფაქტების მშრალ აღწერას, გაზეთს ერთხელაც არ უთქვამს თავისი ავტორიტეტული სიტყვა რაიონის ცხოვრებისათვის ამ ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხზე. მოწინავე გამოცდილება კი დღემდე ჩრდილში რჩება.

ზოგიერთი მტკივნეული საკითხი ზედველობიდან რჩება ლენინგორის რაიონულ გაზეთ **„სტალინელსაც“**. ამ რაიონში ათეულ წელზე მეტია შეცხვარე-პრაქტიკოსები აწარმოებენ ცდებს ცხვრის ახალი, მაღალპროდუქტიული ჯიშის — ქსანურის გამოსაყვანად. მეცხვარეთა თავდადებული შრომა დიდი ყურადღებისა და პატივისცემის ღირსია. რაიონულმა გაზეთმა არაერთხელ მიუძღვნა ქებისა და მოწონების სიტყვა მეცხვარე-პრაქტიკოსების შრომას. მაგრამ ზრ ჩანს გაზეთის წარმმართავი, მებრძოლი ხელიამ უბანზე.

ლენინგორის რაიონის კოლმეურნეობებმა მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების მძლავრი შესაძლებლობა მიიღეს, როცა აქ ამ უკანასკნელ ხანებში შეიქმნა მტს-ი. ლენინგორელ მექანიზატორთა ახალგაზრდა კოლექტივში უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებამ. 17 სექტემბერს „სტალინელმა“ ამის შესახებ წერილიც მოათავსა. მექანიზატორებმა პარტიის დიდი მზრუნველობის პასუხად ახალი ვალდებულებანი აკისრეს. მკითხველს აინტერესებს, როგორ მოაწყეს შემდეგ შრომა მექანიზატორებმა. გაზეთმა კი ტრაქტორისტთა საქმიანობაზე ორიოდე ინფორმაციის დაბეჭდვით ამოწურა საქმე.

„სტალინელის“ რედაქციას საკითხების საინტერესოდ დაყენების უნარი რომ შესწევს, ამაზე მეტყველებს გაზეთის მთელი რიგი საყურადღებო გამოსვლები. ასეთია 18 ოქტომბერს გამოქვეყნებული გვერდი „გამოუყენებელ რეზერვებზე მოგვითხრობენ ადამიანები“, ზოოტექნიკოს ნ. მაჭავარიანის წერილი (26 ნოემბერი) იმის შესახებ, თუ როგორია კოლმეურნეობაში მის მიერ გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯები და სხვ. მაგრამ, როგორც აღინიშნა, გაზეთს მხედველობიდან გამორჩა ზოგიერთი მთავარი საკითხი.

პარტიის მოწოდების პასუხად გაჩაღებულმა პატრიოტულმა მოძრაობამ ახალი შინაარსი შეიტანა საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრებაში. სპეციალისტები მივიდნენ ზნაურის რაიონის კოლმეურნეობებშიც. რაიონულმა გაზეთმა **„საკოლმეურნეო ცხოვრებამ“** 11 ოქტომბრის ნომერში გამოაქვეყნა წერილი და მოწინავე სტატია, რომლებშიც ლაპარაკია სპეციალისტების სოფლად დაბრუნების სურვილზე. მას შემდეგ კი გაზეთი დუმს, არ ეხმარება ადგილობრივ ორგანიზაციებს სოფლად დაბრუნებული სპეციალისტების ძალების სწორად განაწილებასა და გამოყენებაში, არ ბეჭდავს სოფლად დაბრუნებული სპეციალისტების წერილებს.

მეცხოველეობა ზნაურში ძალიან ჩაბორრება. ეს გამოწვეულია იმითაც, რომ მეცხოველეობის ფერმებში თითქმის არაფერია გაკეთებული მექანიზაციის დანერგვისათვის. გაზეთი კი ამაზე არაფერს ამბობს, არ ისმის მისი დამრაზმავი მოწოდება.

„საკოლმეურნეო ცხოვრება“ ხშირად წერს მექანიზატორებზე. მაგრამ როცა ცალკეულ წერილებს ეცნობი, საგულისხმოს ვერაფერს ხვდები. სჭარბობს ტრაფარეტი. ცოტა რამ არის ნათქვამი მექანიზატორთა საჭიროებებზე.

იმისათვის, რომ რაიონულმა გაზეთებმა შეასრულონ თავიანთი მამობილიზებელი და მაორგანიზებელი როლი, აღმოჩნდნენ ახალი ამოცანების სიმაღლეზე, საჭიროა მათ ყოველდღიურად ხელმძღვანელობდნენ პარტიული კომიტეტები. მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ პარტიის ჯავის, ლენინგორისა და ზნაურის რაიკომები ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ აფასებენ თავიანთი გაზეთების როლს რაიონის წინაშე დაყენებული ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში.

არადამაკმაყოფილებელია რაიონული გაზეთებისადმი ხელმძღვანელობა პარტიის საოლქო კომიტეტის მხრივაც. მართალია, უკანასკნელ ხანებში პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტმა განახორციელა ზომები რაიონული გაზეთების რედაქციების უფრო კვალიფიციური კადრებით განსამტკიცებლად, ეს კარგი საქმეა, მაგრამ საკმარისი მაინც არ არის. საჭიროა გაზეთებისადმი ხელმძღვანელობის შემოქმედებითად მოწყობა. ამისათვის პარტიის საოლქო კომიტეტმა მოხერხებულად უნდა გამოიყენოს საოლქო გაზეთები „კომუნისტი“ და „საბჭოთა ოსეთი“. უკანასკნელი ორთვენახევრის მანძილზე კი საოლქო გაზეთებს არ გამოუქვეყნებიათ რაიონული გაზეთების არც ერთი მიმოხილვა, კონკრეტულად არ მიუთითებიათ მათთვის, თუ როგორ უნდა გააჩაღონ მუშაობა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

ვ. გელაშვილი,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავლაბრის ყოფილი არალეგალური ბოლშევიკური სტამბის 50 წლისთავი

გმირული წარსულის შესანიშნავი ფურცელი



სურათებზე: 1. ავლაბრის ყოფილი არალეგალური ბოლშევიკური რესტავრირებული სტამბის ხედი. 2. სტამბის ჭრილი.

როგორ იყო მოწყობილი არალეგალური სტამბა

მ. გოგუაძის მოგონებიდან

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ავლაბრის არალეგალური სტამბა მოთავსებული იყო რკინიგზის ლინანდგის ახლოს (დაახლოებით 100 მეტრზე) ერთ მოზრდილ მიწის ნაკვეთზე (½-1 ჰექტ.). ეზოს ისე მჭიდროდ ჰქონდა შემოვლებული ფიცრის ღობე, რომ გარედან ეზოში არაფრის დანახვა არ შეიძლებოდა. ეზოს ჩრდილო-დასავლეთ მხარეს იდგა ორსართულიანი სახლი, რომლის საცხოვრებელ ფართობს შეადგენდა ორი ოთახი: ქვემო სართული ეჭირა ნახევარსარდაფს, სადაც მოთავსებული იყო სამზარეულო. ეზოდან საცხოვრებელ ოთახში ასასვლელად იყო 7-8-საფეხურიანი კიბე. სამზარეულოში ჩასასვლელადაც 4-5-საფეხურიანი კიბე იყო. სახლიდან 6-7 მეტრზე სამხრეთ-აღმოსავლეთით იყო დახურული ფარდული, რომელშიც ამოთხრილი იყო 12-15 მეტრი სიღრმის ჭა. ფარდული ფიცრულ შენობას წარმოადგენდა. ეზოს სამხრეთ-აღმოსავლეთით იყო მეორე ღია ფარდული ურიკისა და ცხენისათვის.

სტამბა მოთავსებული იყო მიწაში, საცხოვრებელი ოთახებისა და სამზარეულოს ქვეშ მთელი სახლის სიგრცეზე. სტამბის ჭერი სქელი აგურის თაღით იყო ამოშენებული. თაღს შუა ალაგას ჰქონდა დატოვებული ასახლელი ფიცრის ოთხკუთხი კარი. თაღის ზევით 1-1½ მეტრ სისქეზე დაყრილი იყო წვრილი სილა, რომელიც ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს ეს იატაკი მიწისა იყო.

სტამბის ჭერში დატანებულ ფიცრის კარს ის დანიშნულება ჰქონდა, რომ როცა სტამბაში დიდი რაოდენობით იყო ჩასაზიდი მასალა და იარაღი, ამოთხრიდნენ სილას, რომელიც მოყრილი ჰქონდა სამზარეულოს იატაკს, ახდიდნენ ფიცრულ კარს და ასე ჩაიტანდნენ იარაღს და მასალას, რის შეტანაც სტამბაში ჭის საშუალებით შეუძლებელი იყო.

ჩვეულებრივი, მეორე შესასვლელი სტამბაში იყო დახურული ფარდულიდან ჭის და გვირაბის საშუალებით. ჭის თავზე მოწყობილი იყო წყლის ამოსაღები ჭახრაკი, რომელზეც დახვეული იყო მსხვილი, გამძლე თოკი. ერთი თავით თოკი მიბმული იყო ვედროს რკალზე, მეორე თავი კი თვით ჭახრაკზე. ვედრო მუდამ ჩაშვებული იყო ჭაში იმ ანგარიშით, რომ წყლის ზემოთ ერთი მეტრის მანძილზე დამდგარიყო. სწორედ ვედროს რკალთან სტამბის მიმართულებით ჭის კედლიდან იწყებოდა ერთი მეტრი სიმაღლისა. ამ გვირაბის სიგრძე იქნებოდა 6-7 მეტრი. ეს გვირაბი შედიოდა მეორე, ნაკლები სიმაღლის ჭაში, რომლის თავიც გადიოდა სტამბის სამხრეთ კედელთან. მეორე ჭაში ზევიდან ჩაშვებული ხის კიბე სიგრძით 6 მეტრამდე იყო. ეს კიბე აერთებდა სტამბას ძირა გვირაბთან. ამნაირად იყო მოწყობილი სტამბაში ჩვეულებრივი ჩასასვლელი.

სტამბის კედლებში დატოვებული იყო ჰაერის სამოძრაო ხვრელები. სტამბა საცხოვრებელ პირველ ოთახთან შეერთებული იყო ბატარიის სიგნალიზაციით. როცა სტამბაში მუშაობა წარმოებდა, დიასახლისი აუცილებლად უნდა ყოფილიყო სიგნალიზაციის ახლოს, რომ საჭიროების დროს გაეფრთხილებინა მომუშავენი.

კონსპირაციის მიზნით სასიგნალო კნოპი ჩატანებული იყო კედელში, იატაკიდან ერთი არშინის სიმაღლეზე, რომელსაც სავსებით ფარავდა კედელზე გაკრული შპალერი. დიასახლისმა იცოდა, შპალერის შიგნით რა ალაგას იყო მოთავსებული ეს კნოპი. დიასახლისს გარდა სხვას აკრძალული ჰქონდა სიგნალის მიცემა, რადგან, ჯერ-ერთი, დიასახლისს მტკიცედ უნდა დაეცვა სიგნალიზაციის პირობითი ნიშნები და, მეორეც, უთუოდ სუფთა ხელით უნდა მისულიყო კნოპის დასაჭერად, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში კნოპის ალაგი შპალერზე გაუუჭყიანდებოდა და შეეძლო იქიდან გამოეწვია.

სიგნალიზაციის პირობითი ნიშნები ასეთი იყო:

ერთი ზარი ნიშნავდა საფრთხეს. ამ დროს სტამბაში მუშაობა უნდა შეეჩერებინათ და ელოდნათ, ვიდრე არ იქნებოდა მიცემული ნიშანი, რომ საფრთხე აღარ იყო. ამ ნიშანს დიასახლისი **ორი ზარის** მიცემით აცნობებდა. **სამი ზარი** ნიშნავდა — სტამბაში მუშაობა შეეჩერებინათ და ამოსულიყვნენ ზევით საუზმეზე, სადილზე ან ვახშამზე.

სტამბაში ჩასვლა წარმოებდა შემდეგნაირად: ჭაში ჩაშვებულ თოკს, რომლის ბოლოშიც ვედრო იყო მობმული, მოვეკიდებოდი ზემოთ მარჯვენას, ქვემოთ მარცხენა ხელს, ორივე ფეხები თოკზე გვქონდა გადახლართული და ამგვარად სწრაფად ვეშვებოდით ძირს, ვიდრე ვედროს რკალი არ შეგვაჩერებდა. მაშინ კი ხელით მოვსინჯავდით გამოთხრილ გვირაბს და ფორთხვით მივდიოდით მეორე ჭამდის, საიდანაც კიბის საშუალებით ავდიოდით სტამბაში. ჭას კედლებში დატანებული ჰქონდა საფეხურები.

ამოსვლის დროს თოკს ხელებს მოვჭიდებდით, ფეხებს საფეხურებში ვადგამდით და ამგვარად ამოვდიოდით.

ყველა იქ მომუშავენი იქვე ვცხოვრობდით და უნებართვოდ ქალაქში გასვლის უფლება არა გვქონდა (გამონაკლისს შეადგენდნენ დიასახლისი და გიგო ლელაშვილი, რომლებსაც კავშირი ჰქონდათ გარეთ) ნებართვის მიღების შემთხვევაში ეზოდან გასვლა, აგრეთვე შესვლა შეიძლებოდა მხოლოდ ღამით, ისიც ისე, რომ ეს არავის შეემჩნია.

გოლშევიკური არალეგალური ტექნიკის თვალსაჩინო ნიმუში

ორმოცდაათი წლის წინათ, 1903 წლის ბოლოს, თბილისში რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ინიციატივით შეიქმნა ავლაბრის არალეგალური სტამბა, რომელმაც იარსება 1906 წლის 15 აპრილამდე.

ავლაბრის სტამბა წარმოადგენდა ბოლშევიკური არალეგალური ტექნიკის თვალსაჩინო ნიმუშს, კავკასიის კავშირის დიდი რევოლუციური მნიშვნელობის წამოწყებას. ავლაბრის არალეგალური სტამბის მთელ მუშაობას წარმართავდა კავკასიის კავშირის კომიტეტი, რომელსაც სათავეში ედგა გენიალური ლენინის მოწაფე ი. ბ. სტალინი. კავკასიის კავშირის კომიტეტმა ავლაბრის სტამბა გადააქცია არალეგალური რევოლუციური გამოცემების მძლავრ ბაზად საქართველოსა და ამიერკავკასიაში. ავლაბრის სტამბა თავისი ლიტერატურული პროდუქციით თითქმის ორნახევარი წლის განმავლობაში წინსწევდა საქართველოსა და ამიერკავკასიის პროლეტარიატისა და გლეხობის ძალთა შემჭიდროების, მათი დარაზმვისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდის საქმეს.

* * *

ავლაბრის არალეგალური სტამბის შექმნამდე საქართველოსა და ამიერკავკასიის რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს, ისევე როგორც რუსეთის ორგანიზაციებს, არალეგალური ბეჭდვითი ტექნიკის შექმნის დარგში დიდი გამოცდილება ჰქონდათ შეძენილი. პირველი არალეგალური სტამბა თბილისში იქმნება 1900 წელს. 1901 წლის ზაფხულში ბაქოში ეწყობა დიდი არალეგალური სტამბა, ხოლო 1902 წელს — ბათუმშიც.

ავლაბრის არალეგალური სტამბა შეიქმნა ამ დროს, როცა მეფის ძალაუფლების წინააღმდეგ რევოლუციურ ბრძოლებში ჩაბმული რუსეთის მუშათა კლასის გავლენით საქართველოსა და ამიერკავკასიაში ფართოდ გაჩაღდა მუშათა მასობრივი პოლიტიკური გაფიცვები. ამასთან დაკავშირებით გაიზარდა მოთხოვნილება რევოლუციურ მარქსისტულ ლიტერატურაზე.

რსდმპ კავკასიის კავშირმა, ემყარებოდა რა მომენტის ამ მოთხოვნებს, თავის პირველ ყრილობაზე 1903 წლის მარტში მიიღო გადაწყვეტილება კიდევ უფრო გაეჩაღებინა საგამომცემლო საქმიანობა, გამოეცა რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე საკუთარი ორგანო „პროლეტარიატის ბრძოლის“ სახელწოდებით. საგამომცემლო საქმიანობის გაშლა მოითხოვდა დიდი არალეგალური სტამბის მოწყობას, რაც განსაკუთრებულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. მაგრამ სიძნელეები როდი აშინებდა კონსპირაციის მაღალ ხელოვნებას დაუფლებულ პროფესიონალ რევოლუციონერთა ლენინურ კადრებს.

კავკასიის კავშირის კომიტეტმა არალეგალური სტამბის მოწყობა დაავალა თავის ერთ-ერთ წევრს მიხო ბოჭორიძეს. ამ უკანასკნელმა სტამბის მოსაწყობად შეარჩია თბილისის რკინიგზის სახელოსნოს ყოფილი მუშის დ. როსტომაშვილის მიერ იჯარით აღებული მიწის ნაკვეთი, რომელიც მდებარეობდა თბილისის შედარებით ნაკლებად დასახლებულ კუთხეში, ავლაბრის რაიონში. როსტომაშვილმა თავისი მიწის ნაკვეთი უფასოდ გადასცა კავკასიის კავშირის კომიტეტს და მანვე იკისრა ამ მიწის ნაკვეთზე „საცხოვრებელი სახლის“ აშენების ნებართვის აღება ქალაქის გამგეობისაგან.

1903 წლის სექტემბერში როსტომაშვილმა თხოვნით მიმართა ქალაქის გამგეობას და ნებართვის მიღების შემდეგ კავკასიის კავშირის კომიტეტის მიერ გათვალისწინებული გეგმის საფუძველზე დაიწყო სტამბის მშენებლობა. მშენებლობის დაწყებიდანვე ქალაქის გამგეობის მიერ დამტკიცებულ პროექტში შეტანილ იქნა „მცირე ტექნიკური“ შესწორება, რომელიც ითვალისწინებდა სახლის ქვეშ საყინულე სარდაფის ნაცვლად სტამბის მოწყობას, როგორც ეს ნავარაუდევი იყო. მშენებლობა თავიდანვე გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობდა. სახლთან ერთად მიწის ქვეშ იქმნებოდა დიდი არალეგალური სტამბა.

კავკასიის კავშირის მიერ გაწეული უაღრესად რთული და ინტენსიური მუშაობის შედეგად ავლაბრის არალეგალური სტამბის მშენებლობა სწრაფად და კონსპირაციის ყველა წესის დაცვით იქნა განხორციელებული. სტამბაში პირველ ხანებში უმთავრესად იბეჭდებოდა პროკლამაციები და ფურცლები. 1904 წლის მეორე ნახევრიდან ამ სტამბის მუშაობა სულ უფრო ფართოვდება. მის მუშაობაში ყველაზე ინტენსიური და ნაყოფიერი პერიოდი იყო 1905 წელი. საქართველოსა და ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები ამ წლს ავლაბრის სტამბაში გამოცემული ლიტერატურის ახალ-ახალ დასტებს იღებდნენ. სტამბაში დაბეჭდილი ყველა მნიშვნელოვანი გამოცემა სისტემატურად ეგზავნებოდა საზღვარგარეთის ბოლშევიკურ ცენტრს და პირადად ლენინს.

ავლაბრის არალეგალური სტამბის ლიტერატურულ პროდუქციაში მთავარი ადგილი ეჭირა კავკასიის კავშირის ორგანოებს „პროლეტარიატის ბრძოლას“ და მის დამატებას „პროლეტარიატის ბრძოლის“ ფურცელს“, რომლებიც გამოდიოდა ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე. „პროლეტარიატის ბრძოლა“ ძველი „ისკრის“ ხაზს განაგრძობდა და ლენინურ-ისკრული გაზეთ „ბრძოლის“ მემკვიდრე იყო.

გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის“ რედაქციას მჭიდრო კავშირი ჰქონდა საზღვარგარეთის ბოლშევიკურ ცენტრთან, ვ. ი. ლენინთან და მისი ხელმძღვანელობით გამოცემული გაზეთის „ვპერიოდის“, ხოლო შემდეგ „პროლეტარის“ რედაქციებთან. ამ გაზეთებისათვის „პროლეტარიატის ბრძოლის“ რედაქცია უაღრესად საიმედო დასაყრდენს წარმოადგენდა.

თავის მხრივ ვ. ი. ლენინი და პარტიის ცენტრალური ორგანოები „ვპერიოდი“ და „პროლეტარი“ მუდმივ დახმარებას უწევდნენ კავკასიის კავშირს და მის ორგანოს „პროლეტარიატის ბრძოლას“. პირადად ლენინი დიდი ინტერესითა და ყურადღებით ეკიდებოდა კავკასიის კავშირის კომიტეტის მუშაობას. ლენინი კავკასიის კავშირის კომიტეტს ხშირად უგზავნიდა წერილებს, რომლებიც იწყებოდა გულთბილი სიტყვებით: „ძვირფასო მეგობრებო!“. ლენინის წერილებს კავკასიის კავშირის მუშაობაში სიმხნევე და ორგანიზებულობა შეჰქონდა. ლენინი კავკასიის კავშირის მიერ განხორციელებული ყველა მნიშვნელოვანი ღონისძიების კურსში იყო, რასაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიის კავშირის წარმატებით მუშაობისათვის.

კავკასიის კავშირის მუშაობას დიდი ყურადღებით ეკიდებოდნენ პარტიის ორგანოები „ვპერიოდი“ და „პროლეტარი“. ეს გაზეთები მაღალ შეფასებას აძლევდნენ კავკასიის კავშირის კომიტეტის საგამომცემლო მუშაობას და განსაკუთრებით „პროლეტარიატის ბრძოლას“, რომელიც მათი დასკვნით წარმოადგენდა საინტერესო გაზეთს.

მართლაც, „პროლეტარიატის ბრძოლა“ თავისი შინაარსით საინტერესო გაზეთი იყო. მას განსაკუთრებით საინტერესოს ხდიდა ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის სტატიები, რომლებიც სისტემატურად იბეჭდებოდა მის ფურცლებზე. გაზეთში დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის ცნობილი სტატიები „თვითმპყრობელობა ირყევა...“, „მესამე ყრილობა“, „რევოლუციური პროლეტარიატის დემოკრატიული ამოცანები“, „რეზოლუცია „კავკასიის ამბების შესახებ“ და სხვ. გაზეთში დაიბეჭდა სტალინის ისეთი სტატიები, როგორიც არის „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი?“, „პროლეტართა კლასი და პროლეტართა პარტია“, „შეარაღებული აჯანყება და ჩვენი ტაქტიკა“, „პასუხად „სოციალ-დემოკრატს“ და სხვ.

ავლაბრის არალეგალური სტამბის ლიტერატურული პროდუქცია არ ამოიწურებოდა მარტო აღნიშნულით. სტამბაში დიდი რაოდენობით იბეჭდებოდა ლენინის ცალკეული ნაშრომები, პროკლამაციები და ფურცლები — „სოფლის ღარიბებს“, „პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური დემოკრატიული დიქტატურა“, „სამი კონსტიტუცია, ანუ სამი წესი სახელმწიფო წყობილებისა“ და სხვ. გარდა ლენინის ნაწარმოებებისა, ავლაბრის სტამბაში დაიბეჭდა ათეულობით სხვადასხვა სახელწოდების ბროშურა. მათ შორის აღსანიშნავია ი. ბ. სტალინის ბროშურები „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“ და „ორი შეჯახება“. სტამბა აგრეთვე ყოველთვიურად თბილისის, ბაქოს და ბათუმის კომიტეტებისათვის ათობით და ასობით პროკლამაციებსა და ფურცლებს სცემდა.

გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლისა“ და ავლაბრის სტამბის სხვა გამოცემების რედაქტირებაში სტალინთან ერთად უშუალო მონაწილეობას იღებდნენ კავკასიის კავშირის კომიტეტის მთელი რიგი თვალსაჩინო წევრები, რომლებიც ამავე დროს წარმოადგენდნენ პარტიის საუკეთესო ლიტერატურულ ძალებს. ესენი იყვნენ ს. წულუკიძე, მ. ცხაკაია, ს. შაუმიანი, ვ. ბობროვსკი, ფ. მახარაძე, მ. დავითაშვილი და სხვ. მათგან ბევრი თვითონ იყო „პროლეტარიატის ბრძოლაში“ დაბეჭდილი ხელმძღვანელი სტატიებისა და ავლაბრის სტამბის გამოცემების ავტორი.

კავკასიის კავშირის ავლაბრის არალეგალურ სტამბაში გამოცემული ლიტერატურა ეხმაურებოდა საქართველოსა და ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციებისა და მუშათა კლასის სასიცოცხლო ინტერესებთან დაკავშირებულ ყველა მხარეს. კავკასიის კავშირის გამოცემებმა, აგრეთვე საზღვარგარეთიდან და რუსეთიდან მიღებულმა რევოლუციურმა ლიტერატურამ დიდი როლი შეასრულეს ამიერკავკასიის პროლეტარიატის რევოლუციური შეგნებულობის ამაღლებისა და ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის მისი დარაზმვის საქმეში.

ავლაბრის არალეგალური სტამბა არ შეიძლებოდა შეუმჩნეველი დარჩენილიყო ადგილობრივ ხელისუფალთათვის, რადგან ავლაბრის სტამბის ლიტერატურულმა პროდუქციამ, როგორც ეს არაერთხელ უღიარებია ადგილობრივ მმართველობას, თავიდანვე მიიღო „სახელმწიფო წყობილებისათვის საშიში მასშტაბი“. სტამბის ლიტერატურულ პროდუქციას ჟანდარმერია და პოლიცია ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე აწყდებოდა.

ამიტომ ხელისუფლებამ გადაწყვიტა — აღმოეჩინა და მწყობრიდან გამოეყვანა სტამბა. ამ მიზნით ამოქმედებულ იქნა ადგილობრივი პოლიციისა და ჟანდარმერიის მთელი აპარატი, მათი აგენტები. სტამბის ძებნაში ჩაებნენ პეტერბურგელი ხელისუფალნიც.

მიუხედავად ასეთი საგანგებო ზომებისა, ჟანდარმერიისა და პოლიციის აგენტებმა ვერ მოახერხეს სტამბის აღმოჩენა 1904-1905 წლებში, თუმცა 1904 წლის დასაწყისისათვის უკვე დაახლოებით დადგენილი ჰქონდათ სტამბის ადგილმდებარეობა. მხოლოდ 1906 წლის 15 აპრილს ჟანდარმერიისა და პოლიციის მიერ აღმოჩენილ იქნა მათთვის ესოდენ საიდუმლოებით მოცული სტამბა. სტამბის აღმოჩენაში, ჟანდარმერიასა და პოლიციელებს გარდა, მონაწილეობას იღებდნენ სამხედრო ნაწილები.

ავლაბრის არალეგალური სტამბა მისი გაჩხრეკისა და დარბევის შემდეგ სახლიანად იქნა აფეთქებული. სტამბის აღმოჩენის შემდეგ კიდევ უფრო გაჩაღდა მის შესახებ ადგილობრივ და პეტერბურგელ ხელისუფალთა შორის მიწერ-მოწერა, სტამბის შესახებ „საიდუმლო“ და „სასწრაფო“ საქმეების შედგენა.

ადგილობრივ ხელისუფალთა განკარგულებით სტამბის აღმოჩენისთანავე თბილისში შემოღებულ იქნა საალყო წესები. დაპატიმრებულ იქნა მიხა ცხაკაია, ფ. მახარაძე, მ. ბოჭორიძე, ნ. ალაჯალოვა, დ. როსტომაშვილი და სხვ. ღაპატიმრებულთა რაოდენობა აღწევდა რამდენიმე ათეულ კაცს. ზოგიერთ მათგანს საკატორღო მუშაობა მიესაჯა. სტამბის აღმოჩენისა და დარბევის დღეებში ი. ბ. სტალინი და ს. შაუმიანი მონაწილეობდნენ რსდმპ IV ყრილობის მუშაობაში სტოკჰოლმში.

პოლიციის დეპარტამენტი, მისი კავკასიელი ხელქვეითები ვარაუდობდნენ, რომ სტამბის აღმოჩენა და აფეთქება, საალყო წესების შემოღება თუ სამუდამოდ არა, დიდი ხნით მაინც შეაფერხებდა ბოლშევიკების საგამომცემლო საქმიანობას საქართველოსა და ამიერკავკასიაში. მაგრამ მათი ვარაუდი ამაო აღმოჩნდა. ავლაბრის არალეგალური სტამბის აფეთქების შემდეგაც საქართველოსა და ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებს ოდნავადაც არ შეუნელებიათ საგამომცემლო მუშაობა.

* * *

ავლაბრის არალეგალური სტამბა მრავალთაგან ერთ-ერთი შთამაგონებელი მაგალითია იმისა, თუ რა ძნელ პირობებში ქმნიდა ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტია თავის დიდ და მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებებით აღსავსე ისტორიას, როგორ იბრძოდა მეფის მონარქიის უღელქვეშ მგმინავი ჩვენი ქვეყნის ხალხების განთავისუფლებისა და ბედნიერი მომავლისათვის.

სტრიქონები შთაბეჭდილებათა წიგნიდან

„...ძალიან მოხარული ვართ, რომ შევძელით დაგვეთვალიერებინა კავკასიის ბოლშევიკების ცნობილი არალეგალური სტამბა. ამ სტამბამ ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცა ჭკუამახვილობა, თავდადება და გმირობა ბოლშევიკებისა, რომლებმაც არ დაიშურეს ძალა და სიცოცხლე, იბრძოდნენ რა სოციალიზმის გამარჯვებისათვის. ამ სტამბის მუშაკების შრომა და ბრძოლა დარჩება მაგალითად ჩვენს მუშაობაში“...

ჩეხოსლოვაკიის პროფკავშირთა დელეგაცია.

* * *

„ამ სტამბის დათვალიერების დროს ჩვენ გავეცანით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის პატარა მონაკვეთს. ჩვენ თვითონ დავრწმუნდით იმ დიდ ისტორიულ როლში, რომელიც შეასრულა დიდმა სტალინმა თავისი რევოლუციური მოღვაწეობის ადრინდელ პერიოდში.

ლი ფუ-ჟენი

საზოგადოება „ჩინეთ-სსრ კავშირის“ მეგობრობის დელეგაციის ხელმძღვანელი.

* * *

„...ავლაბრის არალეგალური სტამბის გამოცდილება ამავე დროს წარმოადგენს შესანიშნავ გაკვეთილს ჩვენს დროში თავისუფლების ყველა მებრძოლთათვის და პირველ რიგში ლათინური ამერიკისათვის. ბოლივიელი მწერალი მიესალმება სტამბის გმირებს და გმირულ საბჭოთა კავშირს“.

ხესს დე ლარა.

კავკასიის კავშირის კომიტეტის ბეჭდვითი ორგანოები და არალეგალური ბოლშევიკური ლიტერატურა, რომელიც იბეჭდებოდა ავლაბრის სტამბაში.

გოლშევიკური გეჭდვითი სიტყვის სამჭედლო

ცნობები ავლაბრის არალეგალურ სტამბაში დაბეჭდილი ლიტერატურის შესახებ

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ავლაბრის არალეგალურ სტამბაში ორ წელზე მეტ ხანს რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე იბეჭდებოდა დიდძალი რევოლუციური მარქსისტული ლიტერატურა.

ავლაბრის არალეგალური სტამბის პროდუქცია ვრცელდებოდა როგორც კავკასიაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ეს პროდუქცია ეგზავნებოდა საზღვარგარეთის ბოლშევიკურ ცენტრსაც. სტამბაში კავკასიის კავშირის კომიტეტის ფურცლებს გარდა იბეჭდებოდა რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტის და ბაქოსა და ბათუმის კომიტეტების ზოგიერთი პროკლამაციები და ფურცლები.

მოხსენებაში, რომელიც მოისმინა კავკასიის კავშირის III ყრილობამ (1904 წლის მაისი) კავშირის კომიტეტის ლიტერატურულ-საგამომცემლო მუშაობის შესახებ, ნათქვამია, რომ 1903 წლის ნოემბრიდან 1904 წლის მაისამდე კომიტეტმა გამოსცა რსდმპ კავკასიის კავშირის ორგანო გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლის“ ფურცელი“ 6 ნომერი რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე, სულ 30 ათასი ეგზემპლარი, გარდა ამისა 6.000 ეგზემპლარი ბროშურები და 149 ათასი ეგზემპლარი ფურცლები. ამ გამოცემათა დიდი ნაწილი დაბეჭდილი იყო ავლაბრის არალეგალურ სტამბაში.

1904 წლის ზაფხულში ბაქოდან ავლაბრის არალეგალურ სტამბაში გადმოიტანეს აუგსბურგის სისტემის სწრაფმბეჭდავი მანქანა, რის შემდეგ სტამბის პროდუქცია საგრძნობლად გაიზარდა.

1904 წლის სექტემბერში კომიტეტს საშუალება მიეცა განეახლებინა 1903 წლის ზაფხულში დროებით შეწყვეტილი თავისი ორგანოს „პროლეტარიატის ბრძოლის“ გამოცემა. გამოდის „პროლეტარიატის ბრძოლა“ № 7 (სომხურად „პროლეტარიატი კრივ“ № 4), რომელშიც მოთავსებულია ი. ბ. სტალინის სტატია „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი?“. გაზეთის ეს ნომერი დაიბეჭდა ავლაბრის სტამბაში ქართულად 2.000 ეგზემპლარი და სომხურად 1.000 ეგზემპლარი.

ამავე წლის ოქტომბერ-ნოემბერში რუსულ, სომხურ, ქართულ ენებზე დაიბეჭდა გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლის“ ფურცელი“ № № 12-13, 14. ყოველი ნომრის ტირაჟი სამივე ენაზე შეადგენდა 5.000 ეგზემპლარს.

რსდმპ კავკასიის კავშირის 1904 წლის ნოემბრის კონფერენციის გადაწყვეტილებით რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ლიტერატურულ-საგამომცემლო მოღვაწეობა საგრძნობლად ფართოვდება. რუსეთის პირველი რევოლუციის წინანამენებში მხოლოდ 26 დღის განმავლობაში — 1904 წლის 20 ნოემბრიდან 16 დეკემბრამდე ავლაბრის არალეგალურ სტამბაში დაიბეჭდა 29.820 ეგზემპლარი სხვადასხვა სახელწოდების ლიტერატურა.

ავლაბრის არალეგალურ სტამბაში რუსულ, სომხურ, ქართულ ენებზე დიდი ტირაჟით იბეჭდებოდა ვ. ი. ლენინის შრომები „სოფლის ღარიბებს“ (ქართულად 3.000 ეგზემპლარი), „პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა“ რუსულ, ქართულ, სომხურ ენებზე — 4.000 ეგზემპლარი, „ცნობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის III ყრილობის შესახებ“, „პარტიის III ყრილობაზე მიღებული მთავარი რეზოლუციები“, ფურცელი „სამი კონსტიტუცია, ანუ სამი წესი სახელმწიფო წესწყობილებისა“, „უმრავლესობის“ ტამერფორსის კონფერენციის რეზოლუცია აგრარულ საკითხზე“.

ავლაბრის სტამბაში დაიბეჭდა ი. ბ. სტალინის ბროშურები „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“ ქართულად 2.000 ეგზემპლარი, რუსულად 1.500 ეგზემპლარი და სომხურად 1.500 ეგზემპლარი, და „ორი შეჯახება“, ფურცლები და პროკლამაციები: „კავკასიის მუშაბო, დროა შური ვიძიოთ!“, „გაუმარჯოს საერთაშორისო ძმობას!“, „მოქალაქეებს. გაუმარჯოს წითელ დროშას“, „ყველა მუშას“ და სხვ.

1905 წ. ავლაბრის სტამბაში დაიბეჭდა გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის“ ხუთი ნომერი (№ № 8-12). 1905 წლის 1 ივლისს გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“ გამოდის რუსულ ენაზე. გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის“ ტირაჟი რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე 5.000-მდე ეგზემპლარს უდრიდა. გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლაში“ დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი „რეზოლუცია კავკასიის ამბების შესახებ“ (№ 9), სტატიები „მესამე ყრილობა“ (№ 9) და „რევოლუციური პროლეტარიატის დემოკრატიული ამოცანები“ (№ 10). პროლეტარიატის ბრძოლის ყველა ნომერში მოთავსებულია ი. ბ. სტალინის სტატიები.

ავლაბრის არალეგალურ სტამბაში რამდენიმე ათასი ეგზემპლარი ტირაჟით დაიბეჭდა აგრეთვე მრავალი ბროშურა, ფურცელი, პროკლამაცია და ბიულეტენი რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე. განსაკუთრებული ინტენსივობით მუშაობდა არალეგალური სტამბა რევოლუციის აღმავლობის პერიოდში. 1905 წლის 8 იანვრიდან 20 ნოემბრამდე სტამბაში დაბეჭდილი ლიტერატურის ტირაჟი შეადგენდა 275.215 ეგზემპლარს.

ავლაბრის სტამბაში დაბეჭდილი ლიტერატურა ფართოდ ვრცელდებოდა კავკასიაში. ლიტერატურის გასავრცელებლად თბილისში გამოყოფილი იყო სპეციალური კონსპირაციული პუნქტები, ერთ-ერთი ასეთი პუნქტი იყო მ. ჩოდრიშვილის სადურგლო სახელოსნო (ციხალის პროსპექტი № 110). როგორც ავლაბრის არალეგალური სტამბის ლიტერატურის ტრანსპორტის ანგარიშში ჩანს, 1905 წლის 1 თებერვლიდან 20 აპრილამდე თბილისიდან ბათუმში გაუგზავნიათ 37 სახელწოდების ლიტერატურა 11.820 ეგზემპლარის რაოდენობით, ფუთაისში — 36 სახელწოდების ლიტერატურა 3.348 ეგზემპლარის რაოდენობით, ბაქოში — 37 სახელწოდების ლიტერატურა, რომელიც შეადგენდა 4.565 ეგზემპლარს. ანგარიშში ნათქვამია, აქ არ შედის კავკასიის სხვადასხვა ადგილებში გაგზავნილი ლიტერატურის რაოდენობა, რომელიც დაახლოებით 3-5 ფუთს უდრისო.

რუსეთის პირველი რევოლუციის შენელების პერიოდში ავლაბრის არალეგალურ სტამბაში რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე დიდი ტირაჟებით იბეჭდებოდა ბროშურები, ფურცლები და პროკლამაციები. მხოლოდ 20 დღის განმავლობაში — 1906 წლის 5 თებერვლიდან 25 თებერვლამდე სტამბაში დაიბეჭდა 65.200 ეგზემპლარი ფურცელი და პროკლამაცია.

გვერდში მოთავსებული მასალები მოამზადა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის ფილიალმა.

საერთაშორისო მიმოხილვა

წინასწარმეტყველება და სინამდვილე

ახალ, 1954 წლამდე მხოლოდ რამდენიმე დღე დარჩა. ადამიანები მსოფლიოს ყველა კუთხეში აჯამებენ განვლილი წლის შედეგებს, აფასებენ პერსპექტივებს. ამასთან რიგითს ფრანგს, იტალიელს, ინგლისელს, ამერიკელს — ყოველი კაპიტალისტური სახელმწიფოს უბრალო მშრომელს — გარდუვალად უჩნდება ბევრი რამ შესაშფოთებელი და საზრუნავი. ეს გასაგებიც არის. გამლეტბული შეიარაღებისა და აგრესიულ სამხედრო კავშირთა პოლიტიკამ, საერთაშორისო თანამშრომლობის პრინციპების დავიწყების პოლიტიკამ, რომელსაც ამერიკის მონოპოლიების მოთხოვნით ახორციელებენ კაპიტალისტური ბანაკის მეტი წილი ქვეყნების მმართველი წრეები, მთელი რიგი რთული პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური პრობლემები დაუსახა მათ.

ამასთან დაკავშირებით ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ ის პროგნოზები, რომლებსაც ერთი წლის წინათ გაძლიერებით უწევდნენ პროპაგანდას ამერიკის შეერთებულ შტატებში. ეხებოდა რა 1953 წლის პერსპექტივებს და აფრთხილებდა რა მკითხველს, გამლეტბული შეიარაღება ამ წლის განმავლობაში გაგრძელდებაო, ჟურნალი „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტი“ წინასწარმეტყველებდა, რომ „თითქმის ყველა ამერიკელს დაუდგება კარგი დრო“. „მრეწველობის აღმავლობა, — წერდა ეს ჟურნალი, რომელიც, როგორც ცნობილია, ამერიკის მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავს, — გაგრძელდება მთელი წლის განმავლობაში. ოპტიმიზმი გაძლიერდება და ადამიანთა უმრავლესობას უფრო ნაკლები საზრუნავი ექნება... სამუშაო ჯარიდან იქნება, ხელფასი გაიზრდება, ხოლო ცხოვრების დონე კიდევ უფრო ამაღლდება“. ასეთსავე აზრს გამოთქვამდნენ სხვა ჟურნალები და გაზეთები. ამერიკის შეერთებული შტატების მთელი კაპიტალისტური პრესა ზარბაზნების მეფეების სასიხარულო დიდი ამბით პირდებოდა ამერიკელებს „აყვავებასა“ და „კეთილდღეობას“.

მაგრამ წინასწარმეტყველნი სასტიკად მოტყუვდნენ. ნახევარი წლის შემდეგ, 1953 წლის ივლისში, თეთრი სახლის ყოფილმა მრჩეველმა ეკონომიკის საკითხებზე ედვინ ნორსმა გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმის“ ფურცლებზე აღიარა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში „ეკონომიური დაკვეთების ყველა ნიშანია“. ახლა ამას ყველაზე შუბლმაგარი ამერიკელი ეკონომისტებიც კი აღასტურებენ.

ანდა როგორ შეუძლიათ არ აღიარონ ეს, თუ ამერიკის შეერთებული შტატების სამრეწველო წარმოების ინდექსი 1953 წლის ოქტომბერში 11 პუნქტით დაბალი იყო ყველაზე მაღალ დონესთან შედარებით, თუ ამერიკის შეერთებულ შტატებში დაახლოებით 6 მილიარდი დოლარით შემცირდა საქარხნო დაკვეთების თანხა, ერთნახევარჯერ შემცირდა მშენებლობის პროგესში მყოფი საცხოვრებელი სახლების რიცხვი, მკვეთრად დაეცა ავტომობილების წარმოება და სხვ.

ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ მონოპოლიების მოგება დაეცა. სრულიადაც არა! აქ წინასწარმეტყველნი არ მოტყუებულან. საკმარისია ითქვას, რომ, როგორც ბანკირთა ფირმა „ნეიშნლ სიტი ბენკი“ იუწყებოდა, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ამერიკის რამდენიმე ასეულ წამყვანი კომპანიის შემოსავალი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 17 პროცენტით გადიდდა.

სულ სხვაა ამერიკის შეერთებული შტატების მშრომელთა ხვედრი. სტატისტიკოსებს ჯერ კიდევ არ შეუჯამებიათ წლის სამეურნეო შედეგები, მაგრამ უკვე ოფიციალური მონაცემებიდან ჩანს, რომ 1953 წლის ოქტომბერში ამერიკელ მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასის წლიური ფონდი თითქმის 2 მილიარდი დოლარით ნაკლები იყო, ვიდრე ყველაზე მაღალი კონიუნქტურის პერიოდში. საარსებო მინიმუმის ღირებულება კი კვლავ იზრდებოდა და 15 პროცენტზე მეტით გადააჭარბა 1947-49 წლების საშუალო დონეს. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ამერიკელი ფერმერები. ამერიკაში ძლიერდება აგრარული კრიზისი, და ფერმერთა წლიური ფულადი შემოსავალი, ოქტომბრის მონაცემებით, დაეცა 38,4-დან 23,3 მილიარდ დოლარამდე.

ამერიკის „ეკონომიკაში ამ მოვლენათა მიზეზების მიგნება ძნელი როდია. ამერიკის შეერთებულ შტატებში ახლანდელი ეკონომიური დაქვეითება, რომელიც კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პირობებში ვითარდება, ძლიერდება გამალებული შეიარაღებისა და „ცივი ომის“ პოლიტიკის გამო, რასაც ამერიკის მმართველი წრეები ახორციელებენ. ამერიკის ერთიერთი დიდი ბანკის „ძლევენდ ტრასტ კომპანის“ ბიულეტენიც კი იძულებული იყო აღენიშნა, რომ „ამერიკის შეერთებული შტატების გადასვლა ნახევრადსაზედრო ეკონომიკაზე მშვიდობიანი აყვავება როდია“.

თევზი თავიდან აყროლდება. ამერიკის შემდეგ ეკონომიური მდგომარეობის გაუარესების პროცესი ვრცელდება სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებშიც. იტალია, საფრანგეთი, ინგლისი, დასავლეთი გერმანია მათ უფროს ოკეანესგაღმელ პარტნიორთან „მეგობრული თანამშრომლობის“ შედეგად მზარდ ეკონომიურ სიძნელეებს განიცდიან და გაფაციცებით ეძებენ თავიანთი მრეწველობისა და ვაჭრობის ხსნის გზებს. აღნიშნავდა რა ამას, ინგლისის გაზეთი „სუოტსმენი“ ამ დღეებში წერდა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ეკონომიური კრიზისის განვითარება „გავლენას მოახდენს მსოფლიოს დანარჩენ (კაპიტალისტურ — ა. ა.) ქვეყნებზე“.

მიწურული წელი კაპიტალისტური სამყაროსათვის დამახასიათებელია აგრეთვე მისთვის ჩვეულ წინააღმდეგობათა გამწვავებით. ძლიერდება იმპერიალისტ მტაცებელთა ბრძოლა გასაღების ბაზრებისა და ნედლეულის წყაროებისათვის, კაპიტალის გამოყენების სფეროებისათვის, მოგებისათვის. აღნიშნავს რა ამას, ამერიკის ჟურნალი „ტაიმი“ აცხადებს: „ინგლის-ამერიკის უთანხმოებას ფრიად სერიოზული მნიშვნელობა აქვს... ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ურთიერთობა ახლა უფრო ცუდია, ვიდრე ამერიკელთა უმრავლესობას მიაჩნია“.

ფართოვდება ბრძოლა შრომასა და კაპიტალს შორის. მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში, არასრული ცნობებით, წელს 5.100 გაფიცვა იყო. საფრანგეთში აგვისტაში ერთსა და იმავე დროს გაფიცული იყო დაახლოებით სამი მილიონი მუშა-მოსამსახურე, ხოლო იტალიაში 6 მილიონამდე კაცი. დეკემბრის დასაწყისში ინგლისში იფეთქა ორი მილიონის მანქანათმშენებლისა და გემთმშენებელი მრეწველობის მუშის გაფიცვამ. მშრომელთა თვითეული გამოსვლა ცხადყოფს მათი პოლიტიკური შეგნების ზრდასა და მოქმედების ერთიანობის განმტკიცებას.

ეკონომიური აყვავების იმ პოლიტიკის კრახს, რომელიც ემყარება გამალებულ შეიარაღებასა და თავის პარტნიორთა გაძარცვას, არ შეეძლო არ გამოეწვია ამერიკის შეერთებული შტატების სეროიზული დამარცხებანი საერთაშორისო ასპარეზზე. კორეაში შეწყვეტილია საომარი მოქმედება, ამერიკელთა ჩარევამ ვერ გატეხა ვიეტნამელი ხალხის ნებისყოფა გამარჯვებისადმი. მშვიდობის ბანაკი გასული წლის განმავლობაში ძლიერ გაიზარდა და განმტკიცდა. ყველგან ძლიერდება „ცივი ომის“ წინააღმდეგ პროტესტები და საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელების მოთხოვნები. „რომ შევაჯამოთ ამ წლის შედეგები, — ნაოვლიანად აღიარებს დასავლეთ გერმანიის გაზეთი „ფრანკფურტერ ალგემაინე ციტუნგი“, რომელსაც სუბსიდიას აძლევენ ამერიკელები, — უნდა აღვნიშნოთ, რომ ატლანტიკის პოლიტიკა კრიზისს განიცდის“. ხოლო „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ დასძენს: „ამერიკის პრესტიჟი და, მაშასადამე ხელმძღვანელობის უნარიც, კატასტროფულად დაეცა“.

ამიტომ საკვირველი არ არის, რომ მომავლის პროგნოზები, რასაც ამერიკის შეერთებულ შტატებში 1954 წლის წინ გამოთქვამენ, სულაც არ გაისმის ისე ოპტიმისტურად, როგორც შარშანდელი პროგნოზები. სწორედ ოგივე ჟურნალი „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტი“ წინასწარმეტყველებს, რომ ახალი წელი არც ისე „სახიერო“ უნდა იყოს და გაფრთხილებას იძლევა, რომ შესაძლებელია „ეკონომიური სიძნელენი“. აი პროგნოზების ახალი კილო!

პრეზიდენტის არჩევნები საფრანგეთში

23 დეკემბერს საფრანგეთის პარლამენტმა აირჩია საფრანგეთის ახალი პრეზიდენტი. ნაცვლად ვენსან ორიოლისა, რომელსაც 7 წლის სპრეზიდენტო რწმუნებათა ვადა უკვე გაუვიდა, არჩეულია რენე კოტი.

შემთხვევითი როდი იყო, რომ საფრანგეთის ახალი პრეზიდენტის არჩევნებმა მიიპყრო არა მარტო საფრანგეთის ყურადღება, არამედ უცხოეთის საზოგადოებრიობის ყურადღებაც. საფრანგეთის რესპუბლიკის ისტორიაში პრეზიდენტის არჩევნების დროს ჯერ კიდევ არასოდეს არ ყოფილა ესოდენ მწვავე და ხანგრძლივი ბრძოლა სხვადასხვა პარტიებსა და დაჯგუფებებს შორის. საკმარისია გავიხსენოთ, რომ საკირო შეიქმნა კენჭისყრის 13 ტური, მაშინ როცა წინათ ექვსზე მეტი ტური არ ყოფილა. რეკორდული აღმოჩნდა კანდიდატების რიცხვიც, რამაც თხუთმეტს მიაღწია.

რა გარემოებამ გაართულა ასე საფრანგეთის პრეზიდენტის არჩევნები? კომენტარს უკეთებენ რა არჩევნების შედეგებს, უცხოეთის პოლიტიკური მეთვალყურენი იძულებული არიან გაკვეთონ დასკვნა, რომ არჩევნების მსვლელობაში წარმოშობილი სიძნელენი მოწმობენ იმ პოლიტიკური კურსის დიდ კრიზისს, რომელსაც საფრანგეთის ახლანდელი მმართველი წრეები ახორციელებენ. ამას არ შეიძლება არ დავეთანხმოთ.

არჩევნების მსვლელობამ ცხადყო, რომ საფრანგეთის პარლამენტის წევრთა დამოკიდებულება პრეზიდენტობის ამა თუ იმ კანდიდატისადმი განისაზღვრებოდა უწინარეს ყოვლისა იმით, თუ რა პოზიცია უკავიათ ამ კანდიდატებს იმ საკითხში, რომელიც ეხება საფრანგეთის მონაწილეობას ნავარაუდევ „ევროპის თავდაცვითს გაერთიანებაში“, რომლის შექმნაც საფრანგეთს უმზადებს იმ საფრთხეს, რომ სრულიად დაკარგოს დამოუკიდებლობა და დაემორჩილოს გერმანიის მილიტარიზმს, რის აღორძინებაც დასავლეთ გერმანიაში ხდება. კენჭისყრის პირველ რამდენიმე ტურში, როგორც ცნობილია, სხვა კანდიდატთა შორის კენჭი იყარეს ისეთმა კანდიდატებმაც, რომლებიც აშკარად მოითხოვენ საფრანგეთის მონაწილეობას „ევროპის თავდაცვითს გაერთიანებაში“. ასეთები არიან „სახალხო რესპუბლიკური მოძრაობის“ (კათოლიკური პარტიის) ლიდერი ჟორჟ ბიდო, რადიკალ-სოციალისტი ივონ დელბოსი, „დამოუკიდებელი რესპუბლიკელი“ ჟოზეფ ლანიელი. მიუხედავად იმისა, რომ ამ კანდიდატებს უაღრესად აქტიურად უწყობდნენ ხელს პარლამენტის ყველაზე რეაქციული ელემენტები, ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეაგროვა ხმის აბსოლუტური უმრავლესობა და ისინი იძულებული გახდნენ მოხსნათ თავიანთი კანდიდატურები. ამრიგად, პარლამენტმა, პარიზის გაზეთ „ლობერსიონის“ გამოთქმით, „დაგმო თვით პრინციპი ევროპის თავდაცვითი გაერთიანებისა. ფრანგი ხალხის მტრულმა განწყობილებამ გერმანიის ყოველგვარი შეიარაღებისადმი თავისი როლი შეასრულა ვერსალში“.

მაგრამ საფრანგეთის რეაქციამ მოახერხა ხელი შეეშალა ისეთ კანდიდატთა არჩევისათვის, რომლებიც აშკარად აცხადებდნენ, რომ ისინი უარყოფითად ეკიდებიან „ევროპის გაერთიანებაში“ საფრანგეთის მონაწილეობის გეგმებს. ბურჟუაზიული დაჯგუფებანი ერთიანნ ფრონტით გამოვიდნენ პრეზიდენტობის კანდიდატს კომუნისტ მარსელ კაშენს წინააღმდეგ. მათ არ დაუშვეს არც ის, რომ საფრანგეთის პრეზიდენტად აერჩიათ სოციალისტი ნეელენი, რომელიც აგრეთვე გამოდის „ევროპის არმიის“ წინააღმდეგ. მაგრამ ეს იმის გამო მოხდა, რომ, როგორც საფრანგეთის პრესა იუწყება, პარლამენტის ბურჟუაზიულ დაჯგუფებათა მთელმა რიგმა წარმომადგენლებმა, რომლებიც „ევროპის არმიის“ წინააღმდეგ გამოდიან, მხოლოდ პარტიული მოსაზრებებით არ მისცეს თავიანთი ხმები მემარცხენე კანდიდატებს. ვიწრო კლასობრივმა ინტერესებმა და ფრაქციულმა ბრძოლამ ბევრ ფრანგ პარლამენტარს დაავიწყებინა საფრანგეთის ეროვნული ინტერესები.

პრეზიდენტის არჩევნებში, წერს გაზეთი „ლუმანიტე“, გამოხატულება ჰპოვა მძლავრმა მოძრაობამ „ევროპის არმიის“ წინააღმდეგ, მოძრაობამ, რომელიც სულ უფრო ძლიერდება მთელ საფრანგეთში. ამ მოძრაობამ შესაძლებელი გახადა, რომ არჩევნების მსვლელობაში ახალი ლახვარი ჩაეცათ ბონისა და პარიზის ხელშეკრულებებისათვის, თუმცა ეს მოძრაობა საკმარისი არ აღმოჩნდა, რომ საბოლოოდ გაეტეხა წინააღმდეგობა, რომელსაც წარმოშობს კლასობრივი ინტერესები, რაც ერის ინტერესებზე მაღლაა დაყენებული.

მიუხედავად ამისა, პრეზიდენტის არჩევნების შედეგების მნიშვნელობა შორს სცილდება საფრანგეთის ეროვნულ ფარგლებს. „ასოშიეიტედ პრესის“ სააგენტოს კორესპონდენტის გამოთქმით, ვაშინგტონისათვის ეს შედეგები „არც თუ სასიხარულო“ იყო.

ა. ალექსანდროვი.

ბულგარეთის მშვიდობის დაცვის ეროვნული კომიტეტის ბიუროს სხდომა

სოფია, 24 დეკემბერი. (საკდესი). აქ გაიმართა ბულგარეთის მშვიდობის დაცვის ეროვნული კომიტეტის ბიუროს სხდომა. მშვიდობის დაცვის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა გიორგი ნაჯაკოვმა სხდომაზე გააკეთა მოხსენება მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ვენის სესიის შედეგების შესახებ. დასახულ იქნა ღონისძიებანი ამისათვის, რომ დედაქალაქის მშრომელებს განემარტოთ სესიის გადაწყვეტილებანი.

ამერიკელი იმპერიალისტები ცდილობენ საბჭოთა კავშირის საზღვრის გაყოლებით შექმნან თავიანთი სამხედრო ბაზები. ამიტომ დიდ ყურადღებას აქცევენ ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების „დამეგობრებას“ და იქ სამხედრო ბლოკის შეკოწიწებას.

იანკების საამებლად თურქეთის პრეზიდენტმა ჯელალ ბაიარმა მიიღო პაკისტანის მთავრობის მიწვევა და გადაწყვიტა ინახულოს პაკისტანი.

(გაზეთებიდან)

ძია სემი „შუამავლის“ როლში.

ნახატი ი. ჭოჭიაშვილისა.

საბჭოთა კავშირ-ავღანეთის სავაჭრო უთანხმოებისათვის

ქაბული, 24 დეკემბერი. (საკდესი). მოლაპარაკების შედეგად, რომელიც წარმატებით დამთავრდა, 24 დეკემბერს ქაბულში ხელი მოაწერეს სსრ კავშირსა და ავღანეთს შორის საქონელბრუნვის ოქმს მორიგი წლიური პერიოდისათვის.

დადებული ოქმის თანახმად საბჭოთა კავშირი ავღანეთს მიაწვდის, კერძოდ, ნავთობის პროდუქტებს, ლითონს, შაქარს, ქიმიკალიებს, მედიკამენტებს, ბამბის ქსოვილებს, ავტომანქანებს, მოწყობილობას, ხოლო ავღანეთი სსრ კავშირს — მატყლს, ბამბას, ტყავნედლეულს, ჩირს, ზეთოვან მცენარეთა თესლს.

საქონლის ურთიერთ მიწოდება წინა წლებთან შედარებით მატულობს.

ოქმს ხელი მოაწერეს: საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის საელჩოს სავაჭრო მრჩეველმა ავღანეთში ი. ა. გლადკოვმა და ავღანეთის მხრივ — ეროვნული ეკონომიკის სამინისტროს სავაჭრო სამმართველოს უფროსმა აბდულ ვაჰაბ ხანმა და ავღანეთის ეროვნული ბანკის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ჰაირ მუჰამედ ხანმა.

ხელმოწერას დაესწრნენ: სსრ კავშირის ელჩი ავღანეთში მ. ვ. დეგტიარი და ავღანეთის ეროვნული ეკონომიკის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი აბდულ რაუფ ხანი.

აღმოსავლეთ პაკისტანის მშვიდობის დაცვის კომიტეტის გადაწყვეტილება

კარაჩი, 25 დეკემბერი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრეს ოფ პაკისტანის სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, აღმოსავლეთ პაკისტანის მშვიდობის დაცვის კომიტეტმა გადაწყვეტილება მიიღო 1 იანვარი აღნიშნოს როგორც პაკისტანის „მშვიდობის დაცვისა და დამოუკიდებლობის დღე“. კომიტეტის მიერ მიღებული რეზოლუცია შეიცავს მოწოდებას პაკისტანის მთავრობისადმი „არ დადოს სამხედრო კავშირი არც ერთ სახელმწიფოსთან“.

მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატის საჰიბ სინგ სოკხეის განცხადება

დელი, 24 დეკემბერი. (საკდესი). სრულიად ინდოეთის მშვიდობის საბჭოს ვიცე-თავმჯდომარემ გენერალ-მაიორმა საჰიბ სინგ სოკხეიმ იმის გამო, რომ მას მიენიჭა მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემია, გააკეთა განცხადება, რომელშიც ნათქვამია: „მე მიმაჩნია, რომ დიდი პატივი, რომელიც საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტმა დამდო, ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის, მათ შორის დიდი საბჭოთა ხალხის, დაპირებაა, რომ ისინი ინდოელი ხალხის მხარდამხარ იბრძოლებენ ხანგრძლივი და მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისათვის. ინდოეთს, ისევე როგორც ყველა ქვეყანას, რომელთა განვითარებას ხელს უშლიდა ულმობელი კოლონიური ექსპლოატაცია, ესაჭიროება მშვიდობა თავისი საწარმოო რესურსების განვითარებისა და იმისათვის, რომ ღირსეული კულტურული ცხოვრება შეუქმნას თავის ხალხს. არსებითად მშვიდობა ესაჭიროებათ განვითარებულ ქვეყნებსაც, რათა მთლიანად გამოიყენონ ადამიანთა და ეროვნული რესურსები მთელი კაცობრიობისათვის უხვი და სისხლსავსე ცხოვრების შესაქმნელად“.

აღნშნა რა, რომ ინდოელი ხალხი მოითხოვს მიეცეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას ადგილი, რომელიც მას სამართლიანად ეკუთვნის, და მოითხოვს ხუთი სახელმწიფოს თათბირის მოწვევას, გენერალმა სოკხეიმ განაცხადა, რომ „ამერიკის ბაზების პაკისტანში, ისევე როგორც ესპანეთში, შექმნის გეგმა სამართლიანად მიჩნეულია როგორც ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების მისწრაფება მსოფლიო ბატონობისადმი. ეს გეგმა საფრთხეს უქმნის თავისუფლებებს, რომლებიც ძლივს მოიპოვეს აზიის ხალხებმა, მათ შორის პაკისტანმაც“.

„მიუხედავად ზოგიერთი რეალური სიძნელისა, — თქვა დასასრულ გენერალმა სოკხეიმ, — მე სიხარულით ვგრძნობ, რომ მოახლოებულია მთელი კაცობრიობის ნათელი მომავალი. დიდი საბჭოთა ხალხისა და დიდი ჩინელი ხალხის შეუდრეკელი ბრძოლა მშვიდობისათვის, რომელსაც მხარს უჭერს ინდოეთის ხალხი და ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი, უეჭველია, მტკიცე მშვიდობას მოგვიტანს“.

ინდოეთი ამაყობს იმით, რომ საჰიბ სინგ სოკხეის მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემია მიენიჭა

დელი, 25 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთი „სვადჰინატა“ სარედაქციო სტატიაში კომენტარს უკეთებს იმას, რომ გენერალ-მაიორ სოკხეის მიენიჭა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემია, და წერს: „მთელი ინდოეთი მიესალმება თავის ღირსეულ შვილს — მეცნიერ სოკხეის. იმით, რომ პატივი დასდეს საჰიბ სინგ სოკხეის, პატივი დაედო ინდოეთის მთელ მშვიდობისმოყვარე ხალხს. მეცნიერ სოკხეისათვის მშვიდობის სტალინური პრემიის მინიჭება ინდოეთს აკისრებს სპპატიო პასუხისმგებლობას — გააძლიეროს ბრძოლა მშვიდობისათვის“.

„იმ პატივით, რომელიც გენერალ სოკხეის გაეწია, — წერს პენჯაბის გაზეთი „ნაია ზამანა“, — ამაყობს ინდოეთის მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა“.

ამერიკა ირანის საშინაო საქმეებში ერევა

თეირანი, 25 დეკემბერი. (საკდესი). ინგლისს საქმეთა რწმუნებულმა ირანში რაატმა პრესის წარმომადგენლებთან საუბარში 23 დეკემბერს განაცხადა, რომ უახლოეს ხანში თეირანს ჩამოვა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის სპეციალური მრჩეველი ნავთობის საერთაშორისო პრობლემებზე ჰუვერი და რომ იგი „დამაკავშირებელი რგოლი“ იქნება თეირანსა, ლონდონსა და ვაშინგტონს შორის „მანამდე, სანამ ნავთობის საკითხი არ გადაიჭრება“.

საქართველოს კომუნისტი“ № 12

გამოვიდა და ხელმომწერლებს ურიგდებათ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი“ № 12.

ჟურნალში დაბეჭდილია: მოწონავე — „პარტიული განათლების მაღალი იდეურობისათვის“. სტატიები: ზ. გეგეშიძე — „კომუნისტური პარტიის სახელოვანი ისტორიის შესანიშნავი ძეგლი“, ნ. სტურუა — „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შედეგები და თბილისის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები“; ი. კოჭლამაზაშვილი — „საბჭოთა ვაჭრობა მზარდი სახალხო მოხმარების დონეზე“. რ. მელაძე — „მეურნეობის ორი სისტემა 1954 წლის მიჯნაზე“, ო. ნიორაძე — „საბჭოთა კავშირი მშვიდობისათვის ბრძოლის სათავეში“. მ. სააკაშვილი — „დიდი რუსი ბუნებისმეტყველის ი. სეჩენოვის მატერიალისტური მსოფლმხედველობა“, თ. კოსტანაშვილი — „წიგნის გამომცემლობათა ღირსების საქმე“.

განყოფილებაში „კონსულტაცია“ დაბეჭდილია ა. მერცხულავას სტატია — „პირველადი პარტიული ორგანიზაცია კომუნისტური პარტიის საფუძველია“.

განყოფილებაში „კრიტიკა და ბიბლიოგრაფია“ დაბეჭდილია დ. ენუქიძის სტატია — „თავისუფლებისათვის ბრძოლის მატიანე“.

ჟურნალში მოთავსებულია საძიებელი 1953 წელს გამოქვეყნებული მასალებისა.

დაიწყო საახალწლო ნაძვისხეების გაყიდვა

თბილისში მარჯანიშვილის სახელობის მოედანთან, კინოსტუდიასთან, საკოლმეურნეო მოედანთან, კიროვის პარკთან და ქალაქის სხვა ადგილებში 25 დეკემბრიდან დაიწყო საახალწლო ნაძვისხეთა ვაჭრობა. პირველ დღეს გაიყიდა 6.000-მდე ნაძვისხე.

საქტყემშენბაზა 31 დეკემბრამდე ბორჯომის ხეობაში დაამზადებს და თბილისის 22 პუნქტში გაყიდის 16.000 ნაძვისხეს. 10.000-მდე ნაძვისხე საახალწლოდ გაიგზავნება მომმე რესპუბლიკებში — აზერბაიჯანსა და სომხეთში.

რედაქტორი დ. მჯედლიშვილი.

თბილისი

ქალაქის ელექტროფიცირება

საახალწლო დეკეშები, ამანათები

ახალი წლის წინადღეებში ხალხით სავსეა თბილისის ცენტრალური ტელეგრაფის, ფოსტამტის და ქალაქის კავშირგაბმულობის განყოფილებათა დარბაზები. მშრომელები წინასწარ აბარებენ საახალწლო მისალოცდეკეშებს წარწერით — „ჩაბარდეს 1 იანვარს“, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში გზავნიან ამანათებს. ფულის ბარათებს.

სანიმუშოდ არის მოწყობილი თბილისის კავშირგაბმულობის მეოთხე ბიბლიოთეკის დარბაზი. აქ ჩვეულებრივი დეკეშების გარდა, იღებენ ფოტოდეკეშებს; რომლებითაც შეიძლება სურათიც გაიგზავნოს. განყოფილებას დღემდე მიღებული აქვს 3.000-მდე საახალწლო დეკეშა. მუშაობა საღამოს 10 საათამდე გრძელდება. ახალი წლის წინ — 30 და 31 დეკემბერს დეკეშების მიღებას მოემსახურება 20 სალარო.

თბილისის კავშირგაბმულობის დაწესებულებებს დღეისათვის მიღებული აქვთ 10.000-ზე მეტი საახალწლო დეკეშა.

სურათზე: კავშირგაბმულობის თბილისის მე-4 განყოფილებაში იღებენ საახალწლო მისალოცდეკეშებს.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

ახალი სპექტაკლი რუსთაველის სახელობის თეატრში

გუშინ, 26 დეკემბერს, რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო თეატრში მორიგ ახალ დადგმად წარმოდგენილ იქნა ფ. დიუმანუას და ა. დენერის ჰეროიკული კომედია „დონ სეზარ დე ბაზანი“ (ესპანელი აზნაური), თარგმანი ს. ფაშალიშვილისა.

სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს დ. ალექსიძეს, მხატვრული გაფორმება — ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, სტალინური პრემიის ლაურეატს ფ. ლაპიაშვილს, მუსიკა — სტალინური პრემიის ლაურეატს კომპოზიტორ ს. ცინცაძეს. ცეკვები დადგა ქორეოგრაფმა დ. მაჭავარიანმა, ფარიკაობა — ა. ფეიდოროვმა.

სპექტაკლში მონაწილეობენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ნ. ალექსი-მესხიშვილი, თ. თარხნიშვილი, ლ. ტყავაძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი მ. ჩიხლაძე, გ. გეგეჭკორი, მ. თაბუკაშვილი, ს. ისნელი, ბ. კობახიძე, ა. კუპრაშვილი, დ. შაიშმელაშვილი, ნ. ჩხეიძე და სხვ.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

27 დეკემბერს	დღის 12 საათზე ბ. ასაფიევი — **ბალჩისარაის შადრევანი** საღამოს პ. ჩაიკოვსკი — **ევგენი ონეგინი**
29 დეკემბერს	ჟ. ბიზე — **კარმენი**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

დღეს თბილისის თეატრებსა და კინოებში

(სპექტაკლების დასაწყისი 8 საათზე)

რუსთაველის სახელობის — დონ სეზარ დე ბაზანი (ახალი სპექტაკლი, დილას და საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — ვარდი ასფურცლოვანი (რკინიგზელის სახლში), **გრიბოედოვის სახელობის** — თიკა და ავი ძალი (დილას), გვარს ნუ დავასახელებთ (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ასე იწყება ცხოვრება (აბონემენტი № 25, 12 ს.), მისი მეგობრები (ახალი სპექტაკლი, აბონემენტი № 13. 7 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — უეცარი სიმდიდრე (11 ს.), ვიცე-ზემდეგი (6 ს.), **მუსიკალური კომედიის** — თბილისის ცის ქვეშ (დილას და საღამოს), **სანიტარული კულტურის** — გოჩა მინდიაური.

• • •

რუსთაველის სახელობის — ლენინი ოქტომბერში, **ამირანი** — დიადი განთიადი, **ოქტომბერი, თბილისი, პლეხანოვის სახელობისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები** — ორი ბატონის მსახური, **კოლხიდა, ოფიცერთა სახლი** — მზითვიანი ქორწილი.

შემნახველ სალაროებში შეტანილი ანაბრები ხელს უწყობს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებას

სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროები იღებენ ანაბრებს მოთხოვნამდე, ვადიანს, მომგებიანს, პირობითსა და მიმდინარე ანგარიშზე; გასცემენ ანაბრებს მეანაბრეთა პირველი მოთხოვნისთანავე; გზავნიან ანაბრებს მეანაბრეთა დავალებით ერთი შემნახველი სალაროდან მეორეში; აძლევენ და ანაღდებენ აკრედიტივებს.

შემნახველ სალაროებში შეტანილ ანაბრებზე მეანაბრეებს ეძლევათ შემოსავალი პროცენტების ან მოგებათა სახით.

მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც ნამსახურობისათვის ერთდროულ გასამრჯელოს იღებენ, შეუძლიათ, სურვილისამებრ, ანაბრის სახით გადარიცხონ შემნახველ სალაროში თავიანთი გასამრჯელოს ნაწილი ან მთელი თანხა. ამისათვის მათ უნდა შეიტანონ თავიანთი საწარმოს ან დაწესებულების საანგარიშწორებო ნაწილში წერილობითი განცხადება, სადაც უჩვენონ, რომელ შემნახველ სალაროში და რა თანხა უნდა იქნას გადარიცხული. გასამრჯელო შემნახველ სალაროში შეიძლება გადარიცხულ იქნას როგორც მეანაბრის არსებულ ანგარიშზე, ისე ახალ ანგარიშზეც.

სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროებისათვის მინდობილი ფულისა და ფასეულობის შენახვა გარანტირებულია სსრ კავშირის მთავრობის მიერ.

შეიტანეთ ანაბრები შემნახველ სალაროში!

ქალაქ თბილისის სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო.

ტრესტ საქნავთის კოლექტივი იუწყება ალექსანდრე არტემის-ძე კამლაძის გარდაცვალებას.

შვილები დავით, ქეთევან, ტატიანა, რძალი თამარ შენგელია, სიძე პეტრე სობაძე, შვილიშვილები პეტრე, აგული მეუღლეთ ცისანათი, ენდი, დათო იუწყებიან **ერმონი მერაბის ასულ გორგაძე-ნიორაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 29-XII, 2 ს. ძირულაში (ზესტაფონის რ.).

ძმა ორესტი, რძალი აგრაფინა, ძმისწულები ნინო, შიო, ვენერა, თინა იოსავები ოჯახებით იუწყებიან **პროკოფი პროხორეს-ძე იოსავას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28-XII 8 ს. გამოსვენება 29-XII, 4 ს. ენგელსის ქ. № 60.

მეუღლე ელენე, შვილი მარიკა, სიძე ვ. მამაცაშვილი იუწყებიან **პროკოფი პროხორეს-ძე იოსავას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28-XII, 8 ს. გამოსვენება 29-XII, 4 ს. ენგელსის ქ. № 60.

ძმა ვანო ღლონტი, რძალი თამარ ერ